# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 19 ივნისი, 2010 წელი.

№114 (6480)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების – „მთლიანი საქართველოს" განცხადება



2010 წლის 21 ივნისს 11 საათზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართება პარტია „მთლიანი საქართველოს" ლიდერის, პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას სასამართლო პროცესი. ②



## როცა მართლაც ფუჭია სახარების კითხვა შპს „თეთრი ქალაქის" დამფუძნებელი დირექტორის თავზე,

④ ანუ აქა ამბავი ვირეშმაკებისა, ყრუმუნჯობის ფიცის ერთგული უზნეო „ლომებისა" და დაზარალებული „საწყალი" კაცისა



## მოსკოვმა ყურად არ იღო ევროსაბჭოს არც ერთი რეზოლუცია, რომლებიც მოუწოდებდნენ მას აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების უარყოფისკენ ⑧

## ვინ არიან საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ჩაფიქრებული დივერსიის ავტორები და შემსრულებლები? ⑨



## მწვანეთა თვალსაზრისით აფხაზეთს ეკოლოგიური კატასტროფა ელის ③

## ③ მიუხედავად იმისა, რომ თითქოს რუსეთმა ე. წ. სამხრეთ ოსეთის თითოეულ მოსახლეზე 28 ათასი აშშ დოლარი გამოყო, იქ მდგომარეობა ერთობ მძიმეა

## ინგილო ჭაბუკი – არსენ ⑤ ოქროჯანაშვილის ასავალ-დასავალი მღვიმე-უფსკრულთა საიდუმლოების ამოხსნის საქმეში

## კვირაძალს საკითხავი მოგვითხრობს ⑥ ოსმალეთის გურჯებსა და სოხუმიდან საქართველოსთვის აღვლენილ „დედის ლოცვაზე"

## „სახალხო ② სასამართლომ", შესაძლოა, მუშაობა შეაჩეროს

კვირის კარიკატურა



ალიანსი დაიშალა

„ყოფილი პოლიტპატიმრები“

# რა ამბები ჩამოიტანეს მოსკოვიდან ნანა კაკაბაძემ და გელა ნიკოლაიშვილმა

## თბილისი ცნობილ უფლებადამცველებს უმასპინძლებს

**შემოდგომაზე თბილისში დიდი საერთაშორისო კონფერენცია იგეგმება, სადაც ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ადამიანის უფლებათა დამცველები მოიყრიან თავს. ჩვენი ხელისუფლება ურცხვად ირწმუნება, რომ საქართველოში პოლიტპატიმართა ჭაჭანება არ არის, რასაც თურმე უცხოელები ზოგჯერ მართლაც იჯერებენ. ამიტომაც გაუჭირდათ ადამიანის უფლებათა დამცველებს ნანა კაკაბაძესა და გელა ნიკოლაიშვილს დაერწმუნებინათ კოლეგები, რომ დღესაც იტანჯებიან სააკაშვილის ციხეებში უკანონოდ დაპატიმრებული პატიმრები.**



როგორც ვიცით, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ 15-16 ივნისს მოსკოვში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ, რომელიც პოლიტპატიმართა პრობლემებს შეეხებოდა. კონფერენციის შემდეგ არაერთი შეხვედრა შედგა. დეტალების მოსაყოლად ნანა კაკაბაძემ და გელა ნიკოლაიშვილმა თბილისში ჩამოსვლისთანავე ბრიფინგი გამართეს.

გელა ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, რომ ქართველებისადმი განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩეოდნენ რუსი უფლებადამცველები: სერგეი კოვალიოვი, ლუდმილა ალექსეევა, ერნესტ ჩორნი, ვალენტინ გეფტერი... ეს ის ადამიანები გახლავთ, რომელთაც რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მაშინ აიმაღლეს ხმა, როცა ქართველთა მასობრივი დეპორტაცია დაიწყო, საპროტესტო აქციები გამართეს და წარწერები გაიკეთეს „მე ქართველი ვარ“.

ნანა კაკაბაძე ამბობს, რომ შეხვედრების დროს გამოიკვეთა უამრავი საერთო ნიშანი, რომელიც ახასიათებს როგორც საქართველოს, ისე რუსეთს და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. ეს განსაკუთრებით ეხება ხელისუფლების ტაქტიკას პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულთა მიმართ.

საინტერესოა ისიც, რომ „ყოფილი პოლიტპატიმრების“ წარმომადგენლებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს მოსკოვში მცხოვრებმა ქართველებმაც, რომელთაც აქ ეგულებათ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ნათესავები. მათ შორის ყოფილა ცოტნე გამსახურდიას მოსკოველი მეუღლე, რომელსაც განსაკუთრებული მადლიერება გამოუთქვამს სტუმართა მიმართ. ნანა კაკაბაძეს და გელა ნიკოლაიშვილს შეხვედრია პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას ძმაც. მათთან შეხვედრის შანსი ხელიდან არ გაუშვია მალხაზ გულაშვილს და დაწვრილებით მოუყოლია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის დეტალები. ნანა კაკაბაძე ამბობს, რომ მან მეუღლესთან რაღაცეები დააბარა, რომელსაც პრესასთან ვერ გაამხელს. გულაშვილის თქმით, მას საზღვარი ფეხით გადაუკვეთავს, რადგან შვილის პასპორტი ვადაგასული აღმოჩნდა. ოსები ძალიან გულთბილად დახვედრიან. გულაშვილისთვის მოსკოვს რუსეთის მოქალაქეობა შეუთავაზებია, მაგრამ უარი უთქვამს. რას აპირებს მალხაზ გულაშვილი და რა გეგმები აქვს, ამაზე საუბრისგან კაკაბაძემ თავი შეიკავა.

რაც შეეხება პოლიტპატიმრებს,




სტრასბურგმა ცხრა საქმე უკვე განიხილა და ყველა საქმეზე ვერდიქტი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიტანა.

შემოდგომაზე გასამართი კონფერენციის მიზანიც ის არის, რომ უკანონოდ დაპატიმრებულმა ადამიანებმა საერთაშორისო აღიარება ჰპოვონ. ალბათ, ასეც იქნება, რადგან თბილისში თავს მოიყრიან ცნობილი უფლებადამცველები ინგლისიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან... ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც კი. საინტერესოა, მერე როგორ დაიძვრენს თავს საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც რუსეთისგან, სომხეთისგან, აზერბაიჯანისგან და ა. შ. განსხვავებით, დემოკრატიულობაზე განსაკუთრებული პრეტენზია აქვს?!

**თეა მოსია**

მოთხოვნა



# ვლადიმერ ვახანია უკანონო პატიმარია და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს!

## მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების – „მთლიანი საქართველოს“ განცხადება

2009 წლის 15 მარტს ქ. ზუგდიდში პატიმრობაში აიყვანეს სამართლის დოქტორი, მრავალი წიგნის ავტორი, ლომონოსოვის პრემიის ლაურეატი, საქართველოს რამდენიმე საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი ბატონი ვლადიმერ ვახანია.

ბევრმა ორგანიზაციამ, მათ შორის საერთაშორისომ, იგი ცნო პოლიტიკურ პატიმრად. ამისი საფუძველი გახდა მისი დევნის დამადასტურებელი ფაქტები:

აქ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ბატონმა ვლადიმერ ვახანიამ გადაწყვიტა რუსეთის დატოვება და საქართველოში დაბრუნება. საბინაო პრობლემების მოგვარების შემდეგ, ცოლშვილის წამოსაყვანად მოსკოვში რომ მიემგზავრებოდა, თბილისის აეროპორტში მას პოლიციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს საქართველოსა და რფ მოქალაქეობის პასპორტები. ვის არ მიმართა თავადაც და საქართველოს 51 მწერალმა და მეცნიერმაც ამის შესახებ, მაგრამ ამაოდ, საბუთები დღემდე არ დაუბრუნებიათ. სახელმწიფოს მოხელეთა ამგვარმა გულგრილობამ, ბუნებრივია, მას შინაგანი პროტესტის გრძნობა გაუჩინა და სამართლიანობისთვის ბრძოლის მიზნით პარტიის შექმნა გადაწყვიტა.

ბძ 2009 წლის 11 მარტს ქ. ზუგდიდში ჩატარდა მპგ „მთლიანი საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნოტარიუსებს ყრილობაზე დასწრების უფლება არ მისცა. ამიტომ პარტია იურიდიულად ვერ გაფორმდა. ვითომცდა ჟურნალისტისთვის ხელშეშლის საბაბით იმ დღესვე სასწრაფოდ გაიხსნა საქმე.

გძ ყრილობის შემდეგ ავტომანქანას, რომელშიც იჯდა ბატონი ვახანია, მიადგნენ ჟურნალისტები და მოსთხოვეს იმ ვიდეოკასეტის დაუყოვნებლივ დაბრუნება, რომელიც მათ ადრე ჰქონდათ მიცემული მისთვის და რომელშიც მისი ინტერვიუ იყო ჩაწერილი. საუბარი ასე წარიმართა: ვლადიმერი – თუ, მამისეულ სახლში, კასეტა არ მექნება, დღესვე გავაგზავნი მანქანას თბილისში და ხვალ მაინც ჩაგაბარებთო. ჟურნალისტები: თუ კასეტას ახლავე არ მოგვცემთ, პრობლემები შეგექმნებათო. ჩანდა, ეს მუქარა ფარული გეგმის გამჟღავნება იყო.

დძ ბატონი ვლადიმერი ზუგდიდში დარჩა. მე ოთხ ახალგაზრდასთან ერთად თბილისისაკენ გამოვემგზავრე. გზად პოლიციის ერთი საპატრულო ავტომანქანა ჯერ აბაშის ხიდთან დაგვეწია და გაგვაჩერა, მეორე – ზესტაფონს რომ გამოვცილდით. პირადობის მოწმობები გამოგვართვეს, გულდასმით დაგვათვალიერეს... არ ვიცი, როგორ დამთავრდებოდა ყოველივე ეს, ჩემი თავი რომ არ წარმედგინა წარსული და ამჟამინდელი რეგალიებით. ბოლოს ვლადიმერ ვახანია იკითხეს, ესე იგი მას უკვე ეძებდნენ, მაგრამ რა არგუმენტით? მათ ხომ რაიმე იურიდიული საბუთი არ გააჩნდათ?

ეძ ბატონი ვლადიმერი გავაფრთხილეთ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მართლაც, 15 მარტს მის მამისეულ სახლს რამდენიმე ათეული სპეცნაზელი „შტურმით იღებს“ : თურმე სამართლის დოქტორს, გამოცდილ იურისტს, რომელიც 4 დღე ელოდებოდა ამ სპეცოპერაციას, 1 ავტომატი და 2 ხელყუმბარა სხვაგან ვერ „გადაუმალავს“, არამედ ლეიბქვეშ „შეუნახავს“. ასე და ამგვარად, იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით ბატონ ვლადიმერ ვახანიას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მართალია, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის გამო ბატონმა ვლადიმერ ვახანიამ ვერ მიიღო მონაწილეობა პარტიის დაფუძნებაში და ვერ ღებულობს მონაწილეობას მის საქმიანობაში, მაგრამ იგი არის მისი შექმნის ინიციატორი, პროექტისა და პროგრამის ავტორი, ამიტომ არის ამ პარტიის აღიარებული ლიდერი.

ვლადიმერ ვახანია თავისი მეცნიერული შრომებით ისტორიას შერჩება და მისდამი დამოკიდებულების ყოველი ფაქტი ისტორიის კუთვნილება იქნება ამ ფაქტების შემქმნელ პერსონალებთან ერთად.

მპგ „მთლიანი საქართველო“ მიმართავს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობას, პერსონალურად შეისწავლონ ბატონ ვლადიმერ ვახანიას ე.წ. საქმე და გაათავისუფლონ იგი როგორც უკანონო პატიმარი.

მპგ „მთლიანი საქართველო“ თხოვს საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ვისაც ადამიანის უფლებების დაცვა ეხება, თანადგომა გამოუცხადონ ბატონ ვლადიმერ ვახანიას, როგორც პოლიტიკურ პატიმარს და დასვან საკითხი საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების წინაშე მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ.

**აკაკი გასვიანი**

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მთლიანი საქართველოს“ თავმჯდომარე

შეხვედრა

# „სახალხო სასამართლომ“, შესაძლოა, მუშაობა შეაჩეროს

**საზოგადოებრივი საბჭოს პროექტი „სახალხო სასამართლო“ შეიძლება სექტემბრამდე შეჩერდეს. ამის შესახებ გუშინ ინტელიგენციასთან შეხვედრაზე საბჭოს თავმჯდომარემ შიო არსენაშვილმა განაცხადა, მიზეზად კი ფინანსური რესურსის არქონა დაასახელა.**

საზოგადოებრივ საბჭოში სულ 36 პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ერთიანდება, რომელთა ერთობლივი შენატანით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი „სახალხო სასამართლოს“ პროექტის განხორციელება. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ამ პროექტში ყველაზე მეტი თანხა პოლიტიკურ მოძრაობა „თეთრებს“ შეჰქონდათ.

– არ არის ლამაზი, რომ ისეთი სახალხო პროექტი, როგორიც ჩვენი სასამართლოა, გამოკვეთილად რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციისა და პარტიის მიერ ფინანსდებოდეს, – აღნიშნა შიო არსენაშვილმა.



თუმცა, როგორც ჩანს, პროექტის დაფინანსებაზე თემურ შაშიაშვილის პარტიამაც ჯერჯერობით უარი განაცხადა.

– საბოლოო პასუხს ველოდებით, ჯერ არ გადაწყვეტილა, გავაგრძელებთ თუ სექტემბრამდე შევაჩერებთ „სახალხო სასამართლოს“, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია უცხოეთში ცნობილ იურისტებსა და ადამიანის უფლებათა დამცველებს შორის. თუ საბჭოში შემავალი სუბიექტები ვერ შეძლებენ პროექტის დაფინანსებას, იმედი გვაქვს, რომ გრანტებით უცხოელი პარტნიორები დაგვეხმარებიან და „სახალხო სასამართლო“ გაგრძელდება. მან უკვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და დიდი ინტერესიც გამოიწვია, – განაცხადა შიო არსენაშვილმა.



„სახალხო მოსამართლემ“ მინდია უგრეხელიძემ კი აქვე დასძინა, რომ სასამართლო არ არის არა მარტო ის, რაც სასამართლოს დარბაზში ხდება. მას მრავალი პროცედურა და დიდი შრომა სჭირდება სრულფასოვანი მომზადებისთვის. უგრეხელიძემ იქვე განაგრძო – იმის მიუხედავად, რომ ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე ვერდიქტი უკვე გამოიტანეს, საორგანიზაციო საქმეები, რაც გულისხმობს ვერდიქტისა და მოსამართლის დასკვნის სხვადასხვა ენებზე თარგმნას, მათ გადაგზავნას შესაბამის ორგანოებში (სტრასბურგის სასამართლო და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანოებში), ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

რამდენიმე დღის წინათ, „სახალხო სასამართლოში“ აფრასიძეების გახმაურებული საქმე შევიდა, რომელიც მოსამზადებლად სრული პროცედურის დაცვით გადაეცა, როგორც ბრალდებულის, ისე დაცვის მხარეს. თუ „სახალხო სასამართლომ“ მუშაობა შეაჩერა, აფრასიძეების საქმის განხილვაც სექტემბრამდე გადაიდება.

**ანა წიწილაშვილი**

ანგარიში

# „აღიარების სიმძიმე“

**საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ „International Crisis Group“-მა, რუსეთის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთისათვის დახმარების გამოყოფის შემდეგ, იქ არსებულ მდგომარეობაზე ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშს „აღიარების სიმძიმე„ ეწოდება. მასში აღნიშნულია: იმის მიუხედავად, რომ რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის თითოეულ მოსახლეზე 28 ათასი აშშ დოლარი გამოყო, ე.წ. სამხრეთ ოსეთში პრობლემები არ შემცირებულა.**

რამდენიმე ხნით ადრე მედია იუწყებოდა, რომ რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის თითოეულ მცხოვრებზე 42 ათასი აშშ დოლარი გამოყო. ანალიტიკოსები კი აცხადებდნენ, რომ რუსეთის მიერ ამ ე.წ. რესპუბლიკის მხარდაჭერა განწირულია და იგი მოსკოვს ძალიან ძვირი დაუჯდება.

International Crisis Group
WORKING TO PREVENT CONFLICT WORLDWIDE



2008 წლის აგვისტოდან რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის აღდგენისათვის 840 მილიონი აშშ დოლარი (26 მილიარდი რუსული რუბლი) გამოყო. ამავე პერიოდში კი დასავლეთმა საქართველოს აღდგენისათვის 4,5 მილიარდი აშშ დოლარი გამოუყო, ანუ ერთ სულ მოსახლეზე 1200 აშშ დოლარი.

რუსეთის დახმარების მიუხედავად, ე.წ. სამხრეთ ოსეთში აღდგენითი სამუშაოები ძალიან ნელა მიმდინარეობს. კერძო სექტორი ძველებურად ნანგრევებში იმყოფება.

რამდენიმე ხნის წინათ, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ოს სეპარატისტთა ლიდერთან ედუარდ კოკოითთან შეხვედრაზე უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის „მთავრობა„ არაეფექტიანად მუშაობს. ამის მიუხედავად, 2010 წელს რუსეთი დამატებით 5,7 მილიარდი რუბლის გამოყოფას აპირებს.

ექსპერტების მონაცემებით, რეგიონში ამჟამად 30.000 ადამიანამდე ცხოვრობს: მათგან 17 ათასი – ცხინვალში. 2008 წლის კონფლიქტის დროს ე..წ სამხრეთ ოსეთიდან 20 ათასი ეთნიკური ქართველი გამოიქცა. „International Crisis Group“-ის მონაცემებით, ამჟამად ე.წ. სამხრეთ ოსეთში მხოლოდ 2 500-მდე ქართველი ცხოვრობს.

ორგანიზაციის ექსპერტთა მონაცემებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობა ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია, სასოფლო-სამეურნეო მიწები სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფება, რაც ხელს უშლის მათ ათვისებას. ხილის ექსპორტი რუსეთში მაღალი საბაჟო გადასახადის გამო არამომგებიანია. ადგილობრივ ფერმერებს, ასევე, საშუალება არა აქვთ ე.წ. სამხრეთ ოსეთში მდგარ რუს სამშვიდობოებს პროდუქტი მიაწოდონ, რადგან რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო მსხვილ მიმწოდებლებს ანიჭებს უპირატესობას.

ბიზნესის განვითარებაც ე.წ. სამხრეთ ოსეთში ნელა მიმდინარეობს. მეწარმეების შემოსავალი თვეში 500-დან 1000-აშშ დოლარამდეა. ერთადერთი სფერო – რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთში მართლა ვითარდება – რესტორნების ბიზნესია. აქ გამუდმებით იხსნება ახალი კერძო კაფეები, რომლებიც იქ მყოფ რუს სამხედროებს და მშენებლებს ემსახურებიან.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ყველაზე მსხვილი ე.წ. სახელმწიფო საწარმოებია – მინერალური წყლის „ბაგიათის“ მწარმოებელი ქარხანა და ქარხანა „ვიბრომაშინა“. ეს ორივე საწარმო სიმძლავრის მხოლოდ მეხუთედი ნაწილით მუშაობს.

საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ კონფლიქტამდე ე.წ. სამხრეთ ოსეთის მრავალი მცხოვრები საქართველოდან რუსეთში და პირიქით საქონლის არალეგალური ტრანსფერით ირჩენდა თავს. ამჟამად კი ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებული პროდუქტების 90 პროცენტი რუსეთიდან შედის და მათზე ფასები ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთის სამხრეთში.

ამავე დროს, ე.წ. სამხრეთ ოსეთში ხელფასების ზრდა შეინიშნება. მაგალითად, მასწავლებელი ახლა ომამდელ პერიოდთან შედარებით 2,5-ჯერ მეტ ხელფასს იღებს, ე.წ. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ხელფასები 250-დან 400 აშშ დოლარამდეა. ე.წ. სამხრეთ ოსეთში აღდგენითი სამუშაოების გამო, აქ ძირითადად არაკვალიფიციური მუშახელისათვის ახალი სამუშაო ადგილებიც გაჩნდა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში ფუნქციონირებს ორი „სახელმწიფო“ ბანკი. მიმოქცევაში არსებული ვალუტა რუსული რუბლია. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება არ აპირებს საკუთარი ფულის ერთეულზე გადასვლას. ე.წ. სამხრეთ ოსეთში არ მუშაობს ფოსტა. საზოგადოებრივი ინტერნეტი ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთ ინტერნეტ-კაფეში. ე.წ. სამხრეთ ოსეთის სატრანსპორტო სისტემა არ ვითარდება.

საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები სამკურნალოდ ე.წ. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ წასვლას ამჯობინებენ. ამავე დროს, რუსეთის ტერიტორიაზე უფასო სამედიცინო დახმარების მიღება შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვისაც შიდა რუსული პასპორტი აქვთ.

ასევე არ ვითარდება ე.წ. სამხრეთ ოსეთის განათლების სისტემა. წლეულს საშუალო სკოლის დამთავრებების ატესტატი მხოლოდ 430 ბავშვმა მიიღო.

საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ამჟამად ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაახლოებით 5 ათასამდე რუსი სამხედრო იმყოფება – ეს დაახლოებით ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 1/6 ნაწილია. ამავე დროს ე.წ. სამხრეთ ოსეთი ამცირებს საკუთარ ეწ. შეიარაღებულ ძალებს – უახლესი ორი წლის განმავლობაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედროთა რაოდენობა 3 ათასიდან – 200 კაცამდე შემცირდება.

რუსული სამხედრო ბაზები იმყოფება: ცხინვალში, ჯავაში, ყანჩაეთში და ქურთაში. ამჟამად მიმდინარეობს კიდევ ერთი სამხედრო ბაზის მშენებლობა სოფელ სინაგურთან ახლოს.

ექსპერტების აზრით, ახალგორში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზა რუსეთის სამხედრო ინტერესების პრიორიტეტულობის დასტურია თავად ე.წ. სამხრეთ ოსეთის საჭიროებებზე. ეს ბაზა თბილისიდან 50 კილომეტრში იმყოფება და რუსეთისათვის დიდ სტრატეგიულ ფასეულობას წარმოადგენს.

რუსეთის ფედერაცია ასევე აპირებს დახარჯოს 35 მილიარდი რუსული რუბლი „ტრანსკამის“ მშენებლობის განახლებისათვის და როკის გვირაბის აღდგენისათვის. ასევე გამოცხადებულია ტენდერი ჯავასა და ახალგორში აეროდრომების მშენებლობისათვის. განიხილება ახალი გზის მშენებლობის გეგმაც, რომელიც ე.წ. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს მამისონის უღელტეხილის გავლით შეაერთებს.

საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ოსი სამხედროების ნაცვლად 900 რუსი მესაზღვრე დგას.

„International Crisis Group“-ის ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთი გახდა მძევალი ჩავარდნისათვის განწირული გეოპოლიტიკური და ფსიქოლოგიური პროექტისა, თუმცა მათივე პროგნოზით, იმის მიუხედავად, რომ იქ რუსული ფული არაეფექტიანად გამოიყენება, მოსკოვი ამ რეგიონის დაფინანსებას მაინც განაგრძობს. მათივე ანგარიშის მიხედვით, მოსკოვი შიშობს, რომ არასტაბილურობამ ე.წ. სამხრეთ ოსეთში შესაძლოა ჩრდილო კავკასიაში მღელვარებას დაუდოს სათავე. კოკოითის ლოიალურობა ნებისმიერ დანახარჯს ანაზღაურებს და ამიტომაც რუსეთი არ ეცდება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ლიდერი 2011 წლამდე შეცვალოს.

განცხადება

# ხელს არ შევუშლით ოპოზიციური სპექტრის ძალისხმევას

**საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საარჩევნო გარემოს დემოკრატიზაციის მიზნითა და „ქართული აკადემიის“ ინიციატივით, 16 ივნისს ოპოზიციური პარტიების შეხვედრა გაიმართა. ასეთ ვითარებაში კონსერვატორებმა, ქრისტიან-დემოკრატებმა და ლეიბორისტებმა, როგორც იქნა, საერთო ენა გამონახეს და ბოიკოტი გამოუცხადეს... „ქართულ აკადემიას“.**

**მიზეზი, ჩვენი დაკვირვებით, ძ ი რ ი თ ა დ ა დ, ორია:**

1. „ქართულმა აკადემიამ“ 30 მაისის არჩევნებში მხარი დაუჭირა საარჩევნო პერიოდში ოპოზიციური ძალებიდან აშკარად დაწინაურებულ ირაკლი ალასანიასა და „ალიანსს საქართველოსთვის“ და, შესაბამისად, „ქართული აკადემია“ ირაკლი ალასანიასა და უკვე არარსებული „ალიანსის“ სატელიტია. ეს „ბრალდება“ სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს და მაინცდამაინც კარგად არ წარმოაჩენს „ბრალმდებელთა“ მორალურ ვინაობას.

2. „ქართული აკადემია“ მოღალატედ აცხადებდა ყველას, ვინც არჩევნებში „ალიანსს“ არ დაუჭერდა მხარს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზრი „ქართული აკადემიის“ ერთ-ერთმა წევრმა, მართლაც, გამოთქვა ერთ-ერთ შეკრებაზე, ხოლო ერთ-ერთმა ჟურნალისტმა იგი გამოაცხადა მთელი ორგანიზაციის პოზიციად და სათაურადაც კი გაიტანა თავის პუბლიკაციაში.

მთავარი აქ ისაა, რომ „ბრალმდებლებმა“ შესანიშნავად იციან ამ დასანანი გაუგებრობის ნამდვილი გარემოებები. სამწუხაროა, რომ ჩვენს მიმართ გამოიყენეს „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი მხარდამჭერების მიერ აპრობირებული პოლემიკური ხერხი: „რაც ხელს არ მაძლევს, არ ვიცი, ხოლო რაც ვიცი – არ მჯერა“.

„კრიტიკოსებს“ ჯერჯერობით პოლემიკაში არ შევყვებით, არ გვინდა ხელი შევუშალოთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის ოპოზიციური სპექტრის საერთო ძალისხმევას. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ თუნდაც ერთი საკითხის გარშემო ოპოზიციური ერთობის ხელის შემშლელად „ქართული აკადემია“ იქცეს.

კონსერვატორებს, ქრისტიან-დემოკრატებსა და ლეიბორისტებს კი მოვახსენებთ, რომ პირველი შეხვედრის ორგანიზების შემდეგ ჩვენ ისედაც არ ვაპირებდით სამუშაო ჯგუფში მონაწილეობას. პროცესში ჩართულ პოლიტიკურ პარტიებს კი (მათ შორის, რასაკვირველია, ჩვენს „კრიტიკოსებსაც“ძ გულწრფელად ვუსურვებთ საერთო ენის გამონახვას, დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნასა და წარმატებას არჩევნების გზით პოლიტიკური რეჟიმის შეცვლაში.

„ქართული აკადემია“.

17.06.2010

პრესკონფერენცია

# რა საფრთხე ელის აფხაზეთის მოსახლეობას?

**„მექსიკის ყურეში ნავთობის ჭაბურღილზე მომხდარმა ეკოლოგიურმა კატასტროფამ ცხადყო, რომ დიდი ალბათობაა, იგივე განმეორდეს აფხაზეთში, თუ განხორციელდა შავ ზღვაში ნავთობის მოპოვების „როსნეფტის“ გეგმები“, – ასე დაიწყო აფხაზეთის ეკოლოგიური კატასტროფისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია საქართველოს „მწვანეთა პარტიის“ გენერალურმა მდივანმა გიორგი გაჩეჩილაძემ.**




რუსეთი აფხაზეთის ბოლომდე განადგურებას ცდილობს და ჩადის ბევრ ისეთ რამეს, რაც აფხაზეთს საფრთხეს უქმნის.

რუსეთი ჭაბურღილების მშენებლობას აფხაზეთში, შავი ზღვის აკვატორიაში იწყებს, რასაც გაჩეჩილაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი. 2009 წლის 26 მაისს რუსული კომპანიის „როსნეფტის“ ხელმძღვანელმა სერგეი ბოგდანიკოვმა და აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ეკონომიკის მინისტრმა კრისტინა ოზგანმა თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს. ამის შედეგად „როსნეფტს“ აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისების უფლება მიეცა. ჭაბურღილები განლაგდება აფხაზეთის სანაპიროდან 9-10 კილომეტრის დაშორებით. მექსიკის ყურეში აფეთქებული ჭაბურღილი კი 80 კილომეტრით იყო დაშორებული სანაპირო ზოლიდან და მაინც აფეთქებამ უპრეცედენტო ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია ვივარაუდოთ, რა დაემართება აფხაზეთს. ექსპერტები მოსალოდნელ ეკოლოგიურ და სოციალურ-დემოგრაფიულ კატასტროფას არ გამორიცხავენ.

ყველამ კარგად იცის, მტერმაც და მოყვარემაც, რომ აფხაზეთი უნიკალური ბუნებით და კლიმატური პირობებით, შავი ზღვის რესურსებით და ტურისტული პოტენციალით გამოირჩევა. იქ არსებული უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, ეს ყოველივე აფხაზეთის შემოსავლების 40 პროცენტს უზრუნველყოფს. მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის შემთხვევაში, აფხაზეთი უნიკალობას, მისი მოსახლეობა კი მთავარი შემოსავლის წყაროს სამუდამოდ დაკარგავს. ეს კიდევ უფრო დააჩქარებს ძირძველი მოსახლეობის მიგრაციას, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, კრემლს აფხაზეთი მხოლოდ სამხედრო პოტენციალის შავ ზღვაზე გასაძლიერებლად სჭირდება.

„მწვანეთა პარტია“ აფხაზებს აფრთხილებს და ურჩევს, რომ საკუთარ ტერიტორიაზე სანაპირო ზოლში ამგვარი ჭაბურღილის მშენებლობა არ დაუშვან, თორემ ეს დიდი ზარალით დასრულდება. გაჩეჩილაძის მოწოდებაა, ერთად დავიწყოთ ბრძოლა „როსნეფტის“ წინაამდეგ. თუ ბაღაფშს საბოლოოდ არ გაუწირავს აფხაზეთი რუსეთისთვის, მაშინ შეიძლება კიდევ გამოვიდეს რამე. საქართველოს „მწვანეთა პარტია“ მიმართავს აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოპოზიციურ პარტიებს, რომ ისინი მზად არიან შეხვდნენ მათ და ერთად გადაარჩინონ შავი ზღვა ეკოლოგიური კატასტროფისგან. ასევე „მწვანეთა პარტია“ მზადაა ერთად შექმნან გაერთიანებული საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც ჩაერთვებიან ევროპელი წარმომადგენლებიც.

**ხატია მუსერიძე**

მე შაირი არ მინდოდა...

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" წლევანდელი 1 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი („იმედია, კარგ მთქმელს ამჯერად კარგი გამგონი დახვდება!" ღია წერილი და რამდენიმე რჩევა-შეგონება კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის — შპს „თეთრი ქალაქის" დამფუძნებელ დირექტორს ბატონ თამაზ ბაქანიძეს), რომლითაც მას, ბატონ თამაზს — დაახლოებით ერთი წლის წინათ უდროოდ დაყრუებულ-დამუნჯებულ ადამიანს — დიდი წინასწარი განსჯის შემდეგ გავკადნიერდი და მეგობრული, შეიძლება ითქვას, მამაშვილური ტაქტით მივუთითე მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე თუ არასწორ ქმედებებზე. ბევრი მათგანი ისეთი მძიმე იყო, რომ არა ჩემს მიერვე გამოზრდილი და შემდეგ დირექტორად რეკომენდებული ბატონ თამაზ ბაქანიძის მიმართ მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული დადებითი და მეტად თბილი დამოკიდებულება, ჩემი ტონი შესაძლოა გაცილებით მკაცრი ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ ყოველივე ამას ბევრი ცუდი შედეგი უკვე მოჰყვა და ახლო მომავალში კიდევ მეტი სიავე მოჰყვება როგორც „თეთრი ქალაქის" კეთილსინდისიერი დამფუძნებლებისთვის (სამწუხაროდ, მათ შორის არიან არაკეთილსინდისიერები და საწესდებო კაპიტალის საკმაოზე მაღალი პროცენტის მქონე ზომაზე მეტად თავხედები), ისე ფართის დამქირავებელთა დიდი არმიისთვის.*

აქ, ძვირფასო ბატონო თამაზ და კიდევ უფრო ძვირფასო, შეიძლება ითქვას, უძვირფასესო მკითხველო, მსურს, თავის მცირეოდენი ლირიკული გადახვევის სახით მივცე და რამდენიმე სიტყვა ვთქვა თანამედროვე ქართული ეკონომიკის საკმაოზე მეტად მნიშვნელოვან ფიგურაზე — ფიგური თუ უბრალო მეწარმეზე, რომელიც ამოძრავებს უმთავრესად ქართული სავაჭრო კაპიტალიზმის რთულ და სათუთ მექანიზმს, მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის არსებული მრავალწახნაგოვანი ალებ-მიცემობის სახით, ანუ საშუამავლო ბაზრის გამართულად მუშაობის ხარჯზე და მომხმარებლის მოთხოვნილებათა მეტ-ნაკლებად სრულად დაკმაყოფილების კვალობაზე სავაჭრო პროცესის ყველა მონაწილის (მწარმოებელი, შემომტანი, გამანაწილებელი და ა. შ.) ეკონომიკური მიზნების წარმატებით განხორციელება რომ ჭვივა.

სამწუხაროა, რომ ეს მარტივი ჭეშმარიტება ვერ შეიგნეს არა მარტო შპს „თეთრი ქალაქის", არამედ შპს „კიდობანი-1"-ის, შპს „კიდობანი-2"-ის და, ნაწილობრივ — „ისტ გეიტ გრუპის" ადმინისტრაციებმა. ამ საქმეში განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩევიან ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების ის ხელმძღვანელები და სხვა წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენთვის, „უბრალო მოკვდავებისთვის", უცნობი და არცთუ მთლად კანონიერი რაღაც საიდუმლო მიზნების მისაღწევად განსაკუთრებით აგდებულად, სრულიად უპატივცემულოდ ექცევიან საქართველოში სავაჭრო კაპიტალისტური ურთიერთობების ყველაზე აქტიურ და ქმედითს კატეგორიას, რომელთაც, ჩვენს შემთხვევაში, პირობითად სავაჭრო ფართის დამქირავებელთა სახელით მოვიხსენიებთ. ეს მარტო მიუტევებელი შეცდომა კი არა, დიდი ბოროტებაა, რადგან აკნინებს ბიზნესის მთავარ მონაწილეთა როლსა და მნიშვნელობას, რითაც დიდად აზარალებს საზოგადოებას და საქმეს.

ეს სწორედ ასეა, რადგან, რომ არა ისინი, ის ძვირფასი სავაჭრო ცენტრები, თუნდაც ჩვენი ბედკრული, მაგრამ არანაკლებ ძვირფასი სავაჭრო ცენტრი, უდაბნოში რეგვენების მიერ გაყვანილ იმ არხს დაემსგავსებოდა, რომელსაც წყლის მიწოდება არ უწერია...

თუმცა ეს ცალკე, საგანგებო მსჯელობა-განხილვის საგანია და მალე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ კიდეც ამაზე. მაგრამ ერთი რამ კი მაინც მინდა ვთქვა ამასთან დაკავშირებით: ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ ბატონ გიგი უგულავას თბილისის მერის საპატიო და საპასუხისმგებლო პოსტზე არჩევას სხვა კანდიდატებთან შედარებით შთამბეჭდავი უპირატესობით. თანაც მას და მთელ იმ გუნდს, რომელსაც იგი წარმოადგენს, მინდა მადლობა გადავუხადო ე. წ. გარე მოვაჭრეების მიმართ ყურადღების გამოჩენისთვის, რომელთაც არც თუ ისე მცირე ვადით, პრაქტიკულად უვადოდ, თანაც სრულიად უსასყიდლოდ დაუკანონდათ გარევაჭრობის უფლება. ეს მარტო კეთილშობილური კი არა, ბრძნული გადაწყვეტილებაცაა, რის შესახებაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ალბათ უფრო დაწვრილებით შემდგომ პუბლიკაციაში მოგახსენებთ.

ახლა კი დროა დავუბრუნდეთ მთავარ სათქმელს — ჩემს 1 ივნისის წერილზე ბატონ თამაზ ბაქანაძის რეაგირებას. მსურს მკითხველს შევახსენო, რომ **ივნისის პუბლიკაციაში გამოვთქვი მოკრძალებული სურვილი, რატომღაც ძლიერ გადიდკაცებული და დაყრუებულ-დამუნჯებული დირექტორისგან მიმეღო საფუძვლიანი პასუხი ჩემს შენიშვნებზე.**

მივიღე კიდეც, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ძვირფასო მკითხველო, რომ **„პასუხი" იმაზე არანაკლებ „ორიგინალური" და მოულოდნელი აღმოჩნდა, ვიდრე ბატონი თამაზის ამ ერთი წლის წინანდელი უცაბედი დაყრუებ-დამუნჯება გახლდათ.**

კერძოდ, ბატონმა თამაზმა, რომ იტყვიან, არც აცია, არც აცხელა და ოპერატიულად მისცა „უკაზი" თავის „მაღალკვალიფიციურ" აპარატს. უმალ „გამოცხვა" კიდეც შპს „თეთრი ქალაქის" 2010 წლის 28 აპრილით დათარიღებული ბრძანება, რომელიც, რატომღაც უნომროა. არ შევუდგები ამ საკმაოდ უნიჭოდ შედგენილი ბრძანების შესახებ საუბარს. იმასღა ვიტყვი, რომ მისი გამოცემის თარიღი უდავოდ გაყალბებულია. კერძოდ, ბატონმა თამაზმა (დირექტორის თანამდებობაზე თავის დროზე ჩემს მიერვე დანიშნულმა) და მისმა უახლოესმა გარემოცვამ იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს, რომ ბაღის მომვლელსა და ელექტრიკოსთან ერთადერთი ბრძანებით გამათავისუფლეს კონსულტანტის თანამდებობიდან. ისე კი ნურვინ გამიგებს, თითქოს ამ ხაზგასმით ბაღის მომვლელსა და ელექტრიკოსს ვაყენებდე შეურაცხყოფას. უბრალოდ, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბაღის მომვლელიც და ელექტრიკოსიც თანამდებობიდან მათივე განცხადების საფუძველზე არიან გათავისუფლებული, „დასჯილი" კი მარტო მე აღმოვჩნდი.

უდავოა, რომ ეს ბრძანება 28 აპრილს კი არა, სულაც ამ რამდენიმე დღის წინათაა დაწერილი და ჩემთან უხეში ადმინისტრირების გზით ანგარიშის გასწორებას ისახავს მიზნად. **სწორედ ამაზეა ნათქვამი, ბატონო თამაზ** (თქვენთან ერთად ვგულისხმობ ყველას, ვინც მხარში გიდგათ შპს „თეთრი ქალაქის" გეგმაზომიერი ჩაძირვის ბინძურ საქმეში), **„ვირო მადლიო"...**

თქვენ ისიც გეშლებათ, რომ მხოლოდ დაქირავებულ მუშაკად მთვლით მაშინ, როდესაც მე თითოეულ თქვენგანზე ძველი და დიდად დამსახურებული დამფუძნებელი ვარ. ამიტომ დიდი უზრდელობაა ყველა თქვენთაგანისთვის ამის დავიწყება და ისეთი ვირეშმაკური „გამომეტყველების" მიღება, თითქოს აქ არაფერია საეჭვო და ამ გათავისუფლებით მხოლოდ შპს „თეთრი ქალაქის" სახსრებს ზოგავთ. **თქვენ რომ მართლაც მსგავსი მოტივი გამოძრავებდეთ, „კიდობან-1"-ის და „კიდობან-2"-ის ამ 3-4 თვის წინათ წამოწყებული უდროო დახურვითა და ავანტიურისტული ნგრევით საქმეს თითქმის ნახევარი მილიონი ლარით არ დააზარალებდით.** მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით შემდგომ ვისაუბროთ...

ზემოთ ხსენებულ სახელართან დაკავშირებით კიდევ ერთი ანდაზა წამომაგონდა: **„ვირი ახსენე და სახრე მოიმარჯვეო".** ჭეშმარიტად ვირების თემას ეხმაურება თქვენი ინიციატივით ჩვენს შორის გაჩენილი სამარცხვინო სიტუაცია საერთოდ და, კერძოდ, ამ ბრძანების გამოცემის შემდგომ შექმნილი მდგომარეობა. მუდამ ვეჭვობდი და ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი: **თქვენი უაზრო დაყრუებ-დამუნჯება, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, სხვა არაფერია, თუ არა დროის გაყვანის პოლიტიკა, რათა თქვენი ჭკუაზე მოსვლის იმედით შექმნილი არეულობით გესარგებლათ და ბევრი ისეთი რამ მოგემოქმედებინათ, რითაც მთელი „თეთრი ქალაქი" „კიდობნებიანად", და დამქირავებელთა დიდი არმია იმ ჩიხში მოვემწყვდიეთ, საიდანაც ძნელია გამოსავლის მოძებნა.** მაგრამ თქვენი ეს, ვითომ საიდუმლოებით მოცული, „ეშმაკობა", თეთრი ძაფით არის ნაკერი და მასში ბოროტი განზრახვის დანახვას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. ამიტომ სწორი იქნება, თუ თანამოაზრეებთან ერთად ბოლო ერთი წლის განმავლობაში თქვენს ნამოქმედარს ვირეშმაკობის კვალიფიკაციას მივცემთ და ახლავე გეტყვით, რატომ.

უბრალო ადამიანურ ენაზე თუ ვიტყვით, ეშმაკობა ზეთის იქ, სადაც ეშმაკი, ანუ, ჩვენს შემთხვევაში, სხვისი მომატყუებელი, თავის საქმეს ისე „ნიჭიერად" და „ოსტატურად" აკეთებს, რომ მხოლოდ სულ ბოლოს, როდესაც თითქმის კბენა გვიანი ხდება ხოლმე, „მიფრავს" ამას მოტყუებული, იგივე გაცურებული. აბა თუ ის, ვისაც ატყუებენ, ადრეულ სტადიაზევე ხვდება მომტყუებლის თაღლითობას ამ უკანასკნელის „უნიჭობის" თუ სხვა მიზეზის გამო, ასეთი თაღლითობის ჩამდენი სულაც არ არის იმ დონის მატყუარა, რომ მისი ქმედება ნამდვილ, მამაპაპურ, მამალ ეშმაკობად მოინათლოს. ამიტომ მსგავს უსინდისობას ქართველი კაცი სრულიად სამართლიანად ვირეშმაკობად ნათლავს.

რახან ასე ჩავუღრმავდით ვირეშმაკობის საკმაოზე მეტად საჭირბოროტო თემას, გავკადნიერდები და მეც გამოვთქვამ ჩემს აზრს ამ ფენომენის (ანუ ვირეშმაკობის) ცნების არსის შესახებ, რისი გაცნობიერებაც სულაც არ არის ადვილი. თუ ამ ფენომენს (ვირეშმაკობას) სოციალური საშიშროების თვალსაზრისით შევხედავთ, უწინარესად, ყურადღებას იპყრობს თანამედროვე ქართულ სინამდვილეში მისი ფართოდ გავრცელება.

აბა, წარმოიდგინეთ, მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტურ რელსებზე გადავიდა, რამდენი ადამიანი და ადამიანთა ჯგუფი გახდა ვირეშმაკობის მსხვერპლი. მაგრამ ამაზე დღეს დაწვრილებით არ შევჩერდები. იმასღა ვიტყვი, რომ აღნიშნული ფენომენის არსი მრავალი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. კერძოდ, ტერმინ ვირეშმაკის შინაარსში, უწინარესად, შეიძლება ვიგულისხმოთ ცოცხალი არსება, რომელიც ეშმაკისა და ვირის შეჯვარების გზით გაჩნდა დედამიწაზე, ან, უბრალოდ, ეშმაკი, ცუღლუტი, ქლესა ადამიანისა და ვირის შეჯვარების გზით შეიძლება მოგვევლინოს. თუმცა, საბედნიეროდ, ასეთი არსების გაჩენა ჯერ მეცნიერულად დადასტურებული არ არის.

ქვირფასო ბატონო თამაზ და უქვირფასესო ფართო მკითხველო საზოგადოებავ, ვირეშმაკობის გზით ბოროტების კეთების თემას საკმაოდ დაწვრილებით იმიტომ შევეხე, რომ, როგორც უკვე ითქვა, იგი საკმაოდ გავრცელებულია, რასაც ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება განაპირობებს: ვირეშმაკების დიდი თავხედობა, რაც, როგორც წესი, მიერ განხილულ, ისე ბევრ სხვა შემთხვევაში საკმაოზე მეტ როლს თამაშობს. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, დაუსჯელობის არცთუ ისე უსაფუძვლო იმედით შეგულიანებულნი, ჩვენს შემთხვევაში რიგი შპს-ების მესვეურები, უკაცრავად პასუხია და, სულ ფეხებზე იკიდებენ როგორც თავიანთ ტერიტორიაზე დასაქმებულ ადამიანების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ისე მოქმედ კანონმდებლობას (სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჩათვლით), რაც, საბოლოო ანგარიშით, დიდი ბოროტების წყარო ხდება ხოლმე.

**გავკადნიერდები და ბატონ თამაზს შევახსენებ ერთ ეპიზოდს მისი „ყრუმუნჯური" ცხოვრების პერიოდიდან, როგორი ეპიზოდიც მეტ-ნაკლებად შერაცხად დირექტორს კი არა, ყველაზე მდაბიო ადამიანსაც არ ეკადრება.**

# მართლაც ფუჭი ყოფილა მგლის თავზე სახარების კითხვა!

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს, ანუ აქა ამბავი ვირეშმაკებისა, ყრუმუნჯობის ფიცის ერთგული უზნეო „ლომებისა" და დაზარალებული „საწყალი" კაცისა



კერძოდ, შპს „თეთრი ქალაქის" ერთ-ერთ პირველ დამფუძნებელს და მთელი ათი წლის მანძილზე ძირითად მოთამაშეს, მეუღლესთან განქორწინების პროცესი ჰქონდა. მას სასამართლოში უნდა წარედგინა ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენ პროცენტს ფლობდნენ ისინი შპს „თეთრ ქალაქში", რათა მოსამართლეს შეეკრიბა ყოფილი მეუღლეების წილი, შემდეგ თანაბრად გაეყო შუაზე და, ამგვარად, კანონის შესაბამისად, დაემტკიცებინა თითოეული მათგანისთვის წილი საერთო საკუთრებაში, რაც არა მხოლოდ ამჟამად, არამედ იმ ავადსახსენებელ დღესაც, საკმაოდ დიდ ქონებას შეადგენდა

პროცესის დაწყებას დაახლოებით ერთი საათი აკლდა, როდესაც მამაკაც მეუღლეს მდივანმა გადასცა **დირექტორის, ბატონ თამაზ ბაქანიძის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული ოფიციალური ცნობა, რომლის მიხედვითაც დედაკაც მეუღლეს შპს „თეთრ ქალაქში" წილი თურმე საერთოდ არ ჰქონია.**

მამაკაც მეუღლეს წილის აგრერიგად უგზო-უკვლოდ გაქრობა არა მარტო ძალზე გაუკვირდა, არამედ, როგორც გარკვეული გამოცდილების მქონე იურისტი, დაეჭვდა კიდეც, რომ აქ საქმე სუფთა არ იყო. რახან მსჯელობის დრო არ რჩებოდა (სასამართლოში აგვიანდებოდა), მან მიამიტურად გადაწყვიტა, ეკითხა დიდბატონად ქცეული მისი გამოზრდილი პიროვნებისთვის წილის გაუჩინარების მიზეზების შესახებ, მაგრამ უმალ დარწმუნდა, თავისთვის რამდენად საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც გაბედა და შეაღო ალბათ ისეთი ამბიციით შეპყრობილი ადამიანის კაბინეტის კარი, როგორი ამბიციაც ზოგიერთ რომის იმპერატორსაც შეშურდებოდა.

როგორც კი მან კარი შეაღო და „დიდთავად" თამაზს მორიდებით ჰკითხა, სად გაუჩინარდა ქალის წილიო, ეს უკანასკნელი **ყაჩაღივით, ლომივით წამოხტა ზეზე და პირიდან ღმუილს, ზმუილსა თუ ყროყინს მიმსგავსებული ხმა ამოუშვა.**

ერთადერთი, რამაც „მკითხველს" თავში გაუელვა, ის იყო, რომ **შესაძლებელი ყოფილა არა მარტო ვირისა და ეშმაკის, არამედ ვირისა და ლომის ნაჯვართან შეხვედრაც,** ოღონდ... მხოლოდ სიზმარში (საწყალი იმან გადაარჩინა, რომ თავი სიზმარში ეგონა).

თუმცა მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გააოგნა არა მარტო კარებში „გაკვეხებული" პიროვნება, არამედ „დიდთავადიც", რადგან ეს უკანასკნელი, მისი აზრით,

შესაჭმელად გამზადებული ჭაღარა კაცისგან წარმოუდგენლად აქტიურ წინააღმდეგობას შეხვდა, რამაც მხეცად ქცეული ვირეშმაკა მყისიერად შეცვალა, ადამიანის ტყავში დააბრუნა და მრავალი დამსწრის თვალშიც დიდად შეარცხვინა.

ანუ ამ შემთხვევაში სიმართლემ პური კი ჭამა და საწყალი დაზარალებული სამარცხვინო „გალახვასაც" გადაურჩა, მაგრამ **იგი დაზარალებულად უკვე სასამართლომ აქცია და არა ლომვირამ, რომელმაც, სხვათა შორის, იმდენი მოახერხა, რომ დაყრუება-დამუნჯების შესახებ დადებული ფიცი ბოლომდე შეასრულა და მისი ერთგული დღემდე დარჩა...**

და თუმცა „საწყალმა" ღირსეულად მოიგერია ლომვირის თავდასხმა და ამ ჭეშმარიტად სამარცხვინო ინციდენტიდან რესპექტაბელურად გამოვიდა, იგი სასამართლოს მიერ მიღებული სრულიად სწორი გადაწყვეტილების გამო დღემდე დაზარალებულია.

თუ სასამართლოს გადაწყვეტილება სავსებით სწორი იყო, როგორღა დაზარალდაო, იკითხავთ, ალბათ. როგორ და, რადგან მან სასამართლო პროცესზე ვერ მიიტანა ცნობა „თეთრი ქალაქიდან", რომ მის მეუღლეს ამ შპს-ში რაიმე წილი ჰქონდა, მხოლოდ „საწყლის" წილი გაიყო თანაბრად მეუღლეებს შორის, რითაც მისი ადრინდელი კუთვნილი წილი განახევრდა.

**ასე რომ, სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანი კი იყო, მაგრამ „საწყალი" მაინც სერიოზულად დაზარალდა!**

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, მინდა ერთი ექსპერიმენტი ჩავატარო და დირექტორ ბაქანიძეს ვკითხო, თუ იცის, რაში გამოიხატა მისი იმდღევანდელი დანაშაულებრივი მოქმედება? და თუ თვითონ, სხვათა დაუხმარებლად, მიხვდება ამას, გაზეთის მეშვეობით წერილობით მაცნობოს (ვგრძნობ, ამ, ბაქანიძისთვის დიდად სამარცხვინო ეპიზოდის შესახებ თხრობა მეტად გამიგრძელდა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე), **ხოლო თუ ვერ მიხვდება, რა არის მისი დანაშაული (და, სხვათა შორის, არაერთი), ამის „გარკვევასა" და გახსენებაში მე დავეხმარები და ამაზე შემდგომში უკვე ვრცლად და კონკრეტულად ვიმსჯელებთ.**

**ანზორ გაბიანი,**

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

***P. S.*** *ეს წერილი უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც 1 ივნისის პუბლიკაციის პასუხად ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების გამოცემის შემდეგ „დიდბატონმა" მომწერა რამდენიმე მუქარის წერილი უკვე როგორც შპს „თეთრი ქალაქის" დამფუძნებელს და მომთხოვა მის მიერვე ჩემთვის ადრე მოცემული კაბინეტის (ამით, ალბათ, მაშინ სურდა, გავჩუმებულიყავი და მის მიერ წამოწყებული ავანტიურისთვის „მწვანე შუქი" ამენთო) დაუყოვნებლივ გათავისუფლება.*

*რადგან ეს წერილი აგვირგვინებს ზომაზე მეტად გათავახედებული დიდბატონ თამაზ ბაქანიძისა და მის მიერვე ბოლოხანს არანაკლებად გადიდბატონებული ე. წ. „კამპანიონების" მიერ ორგანიზებულ ურჩი დამფუძნებლის დევნას მხოლოდ იმის გამო, რომ იგი გაკადნიერდა და ცდილობს, ხელი შეუშალოს მათ მიერ წამოწყებულ ზემოთ უკვე არაერთხელ ნახსენებ ბინძურ ავანტიურას, როგორც „თეთრი ქალაქის", ისე დამქირავებელთა საკმაოდ დიდი არმიის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების საზიანოდ, ყველას გასაგონად მინდა განვაცხადო შემდეგი:*

***რამდენი ბრძანებაც არ უნდა გამოსცენ და რამდენი წერილიც არ უნდა მომწერონ დიდბატონმა თამაზმა და მისმა დამქაშებმა, გამომასახლონ არა მარტო სამუშაო ოთახიდან, არამედ ბინიდანაც, სადაც უკვე დიდი ხანია „ჩიტის უფლებებით" ვცხოვრობ, ისინი მაინც განწირულნი არიან დამარცხებისათვის ამ უთანასწორო ბრძოლაშიც კი, რადგან მათ არ ესმით, ან არ სურთ გაიგონ, რომ ამდენი უდანაშაულო ადამიანის ინტერესების ფეხქვეშ გათელვასა და აბუჩად აგდებას მათ არ აპატიებს თანამედროვე, საკმაოზე მეტად გათვითცნობიერებული ქართული საზოგადოება, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს ბევრს აკეთებს ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისათვის და, რაც მთავარია, მაღალი ღმერთი, რომლის ნებას, ელემენტარული ჭეშმარიტებაა, წინ ვერვინ აღუდგება.***

***ა. გ.***

◎ აკადემია

# შემდგომ ვიზიტამდე, ბატონო კლოდ!..

**ნათქვამია, შვიდი ძიძის ხელში ბალღი მიუხედავი დარჩაო. ეს თუ „წესია", როგორც ყოველ წესს, მასაცა აქვს ნამონაკლისი.**

შვიდი არა, მაგრამ ექვსი „ძიძა" კი ჰყავდა ამ საგულისხმო შეკრებას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სმეაძ აკადემიური საბჭოს სხდომათა დარბაზში, აქვე სათქმელად, ასეთ თაკარა სიცხეში სასიამოვნოდ „გაგრილებადში". სმეა-ს გარდა, ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ შრომის,



ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში, რესპირაციის ასოციაცია, ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაცია, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი.

ღმერთმანი, ესოდენ პრესტიჟული ორგანიზაციების „შენუხებად" ღირდნენ როგორც მოწვეული სტუმარი, ისე მოხსენების თემა.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ შეკრებილთ წარუდგინა ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის ინსტიტუტის წევრი, დოქტორი კლოდ ლენფანტი, რომელმაც ვრცლად, ეკრანზე დემონსტრირებული მასალის უხვად მოხმობით ისაუბრა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამედიცინო კვლევების ორგანიზების შესახებ.

დოქტორი კლოდ ლენფანტი გახლავთ კარდიოლოგიასა და პულმონოლოგიაში მსოფლიოში სახელგანსმენილი მეცნიერი, ამასთან სამედიცინო მეცნიერების ჩინებული ორგანიზატორი; ათეულობით წელი ხელმძღვანელობდა ამერიკის გულის, ფილტვისა და სისხლის ნაციონალურ ინსტიტუტსა და მრავალ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროგრამას კარდიოლოგიისა თუ რესპირაციული მედიცინის სფეროებში.

ჩვენთვის გამორჩეულად საყურადღებო ისაა, რომ კლოდ ლენფანტი 1995 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ქართველ მედიკოსებთან. მან და ქალბატონმა სუზან ჰარდმა, რომელიც აგრეთვე ხანგრძლივად უძღოდა ხსენებული ნაციონალური ინსტიტუტის პულმონოლოგიურ განყოფილებას, ხელი შეუწყვეს ამერიკის სხვადასხვა ნაციონალურ ინსტიტუტთან ჩვენს მედიკოსთა თანამშრომლობის განვითარებას, მათს ინტეგრაციას არაერთ საერთაშორისო პროგრამაში. ამ პროგრამების გაიდლაინებასა და პროტოკოლების საქართველოსთვის ადაპტირებასა და ქართულად გამოცემას.

კარგი ქართულით სინქრონულად თარგმნილმა მოხსენებამ დამსწრეთა ცხოველი ინტერესი და არაერთი შეკითხვა გამოიწვია. შეკითხვები ძირითადად ეხებოდა აშშ-ში სამედიცინო კვლევების ორგანიზების გამოცდილების გადმოღების შესაძლებლობებს საქართველოსთვის. შთამბეჭდავი გამოვიდა ქართველ მსმენელთა (იმათ რიცხვში, აკადემიის პრეზიდენტისაცძ ინგლისურად საუბარი ამერიკელ სტუმრებთან. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხისას მომხსენებელმა იქვე მყოფი მედიკოსი მეუღლე დაიხმარა.

— ბოლო წლებში უკვე რამდენჯერმე ვიყავით თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში და კვლავაც გვექნება ჩამოსვლის მიზეზიო, — აღნიშნა მადლობის გადახდისას დოქტორმა კლოდმა.

ჩვენმა ტელეჟურნალისტებმა არაერთი კადრი აღბეჭდეს აკადემიაში გამართულ ამ საინტერესო შეხვედრაზე.

**თამაზ ეგანოიძე**

◎ ბედი კაცისა

*მე ინგილო ვარ, მაშასადამე ქართველი ვარ. ჩემი მშობლიური ენა, სალაპარაკო ენა შინ და გარეთ ქართულია, დამწერლობაც ქართული, ანბანიც, ისტორიაც, ბედი და იღბალიც — ქართული. რაც ხელს არ მიწყობს, რომ ძველი ქართულიდან მომდინარე, ძირძველი კილოკავიც მქონდეს — ინგილოური. ისიც ქართული ენის ერთ-ერთი წყაროა, მისი სიმდიდრე.*

*კახში ბევრი ტაძარი და ეკლესიაა. ქურმუხის ტაძარი აგებულია XIII საუკუნის დასასრულს და XIV საუკუნის მიწურულში. აღდგენილია ხალხის მიერ 1888 წელს.*

*წმინდა გიორგის ეკლესია XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლია, 1990 წელს რესტავრაცია გაუკეთდა.*

*მიტაცებს და მატყვევებს მათი სიზვიადე, სიდიადე., ამაყნი, ქედუხრელნი დგანან და გასცქერიან უსასრულობას. მრავალსაუკუნოვანნი, თითქოს თავგაჭაღარავებულნი, იდუმალებით მოცულნი... რამდენი ჭირ-ვარამი და სიხარული აქვთ გავლილი. უნახავთ დაცემაც, აღზევებაც, დამარცხებაც და გამარჯვებაც. ისინი ხომ ცოცხალი მემატიანენი არიან.*



არსენ ოქროჯანაშვილი

# მღვიმე-უფსკრულთა მესაიდუმლე

კახი... ეს ხუციშვილების, ოთარაშვილების, ბეროშვილების, ჯანაშვილების, ოქროჯანაშვილების, ფიროსმანაშვილების დასახლებაა.

ჰეიდარ ალიევის სახელობის ულამაზესი პარკის პარალელურად სპელეოლოგ არსენ ოქროჯანაშვილის სახელობის ქუჩაა, კოპწია, ნაძვნარით დამშვენებული.

არსენ ოქროჯანაშვილი 1930 წლის 15 დეკემბერს დაიბადა კახში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1955 წლიდან ზაქათალის რაიონის სოფელ ალაბადის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებლად, ხოლო შემდეგ დირექტორად მუშაობდა.

ზოგიერთმა შოვინისტმა გარეწარმა მშვენივრად იცოდა, რომ იგი იყო სულიერი დარაჯი მშობლიური ერისა, მისი სინდისი, მისი უიარაღო, მაგრამ ძლიერი მებრძოლი. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი პირობები შეუქმნეს, რომ არსენა 1959 წლიდან თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად დაიწყო მუშაობა. გატაცებული იყო იდუმალებით მოცული მღვიმე-უფსკრულების აღმოჩენითა და შესწავლით. მანამდე ფედაუდგმელი უფსკრულის, დღეს ფართოდ ცნობილი ახალი ათონის მღვიმის დამპყრობთა შორის იყო ჩვენი თანამემამულე, სპელეოლოგი არსენ ოქროჯანაშვილი.

1961 წლის ივნისში ახალი ათონის მიდამოებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგ-მკვლევარებმა პროფესორ ზ. ტინტილიზოვის ხელმძღვანელობით სადაზვერვო იერიში მიიტანეს ივერიის მთასთან არსებულ, მანამდე შეუსწავლელ უფსკრულზე, ეგრეთ წოდებულ „უძირო ორმოზე". მოიერიშე ოთხეული შეიჭრა უფსკრულის ჰორიზონტალურ დარბაზებში და 18-საათიანი იერიშის შემდეგ დაიპყრო იგი. ძეგლის პირველაღმომჩენებმა მოიარეს გიგანტური დარბაზები და ზედაპირზე დაბრუნდნენ.

ორი წლის სათანადო მზადების შემდეგ, უფსკრულის პირველდამპყრობმა ოთხეულმა (იმჯერად სამეულმაძ კიდევ მიიტანა იერიში „უძირო ორმოზე". ჯგუფი მიწისქვეშ ყოფნას ხუთ დღე-ღამეს ითვალისწინებდა. თოკებითა და თოკის კიბეების საშუალებით სპელეოლოგები დაბლა მიიწევდნენ და ბევრ სიძნელეს აწყდებოდნენ. 55 მეტრის სიღრ-



მეზე პატარა ტბას წააწყდნენ. ტბის ზემოთ დერეფანი ძალზე ვიწრო, ალაგ-ალაგ შვეული იყო, ქვემოთ კი ერთბაშად იხსნებოდა და მღვიმის ვერტიკალური, ნაპრალისებური ნაწილი შვეულ კედელს ქმნიდა.

დარბაზამდე, სადაც მოიერიშე სამეულმა მიაღწია, ბევრი სიძნელე გადალახეს: წყალდიდობა, ლაფი და სქელი ტალახი... არსენამ იქ მეტეოროლოგიური დაკვირვებებიც ჩაატარა.

ამ ექსპედიციის დროს არსენ ოქროჯანაშვილმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა, — ფარდა ახადა საუკუნეების განმავლობაში იდუმალებით მოსილ ზღაპრულ სამყაროს, რათა იგი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა.

იმ დღიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ-მუშაკმა არსენ ოქროჯანაშვილმა სახელი გაითქვა. მან სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღო კიდევ 5 ექსპედიციაში და ყველგან პირველი, მოწინავე იყო.

ახალი ათონის მღვიმის აღმოჩენის შემდეგ მისი კეთილმოწყობა თბილისის „საქქალაქმშენის" სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მიხედვით განახორციელა „თბილგვირაბმშენმა".

მშენებლობა 1967 წელს დაიწყო და 1975 წელს დასრულდა. წელიწადში ამ მღვიმეს მილიონზე მეტი კაცი ნახულობდა. სტალაგმიტებისა და სტალაქტიდების სვეტები მღვიმის დარბაზებს ჯადოსნურ სილამაზეს აძლევს.

ახალი ათონის მღვიმე საზეიმოდ 1975 წლის 4 ივნისს გაიხსნა. სამწუხაროდ, ამ დღეს ვერ დაესწრო არსენ ოქროჯანაშვილი. მაშინდელი წულუკიძის რაიონის მთების მღვიმის ექსპედიციისას ბედუკუღმართმა შემთხვევამ იმსხვერპლა იგი, შეწყვიტა უშიშარი ვაჟკაცის გულის ძგერა.

არსენ ოქროჯანაშვილის სახელის უკვდავსაყოფად ამ მღვიმეში, ექსპედიციის ტრადიციულ საბანაკო ადგილს მისმა მეგობრებმა „არსენას ნაბინავარი" უწოდეს, ხოლო დარბაზ „ტაძრის" პირდაპირ არსებულ სამმეტრიან განშტოებას — „არსენას სისტემა".

ახალი ათონის მღვიმის კომპლექსის შექმნისთვის ჯგუფთან ერთად, სიკვდილის შემდეგ, მას სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

**ვაჟგენ ოქროჯანაშვილი.**
**კახი, არსენ ოქროხანაშვილის ქუჩა №6.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №168

# „დედის ლოცვა“ სოხუმიდან საქართველოსთვის



ყველაზე ძნელი რომ ნამდვილი ტკივილის გამოხატვაა ისე, რომ ხელოვნებაშიც „ნამდვილად“ აჟღერდეს, ჩვენი უახლესი ისტორიის თემაზე, ბევრ შემთხვევაში ყალბი პათოსით გამოხატულმა ლიტერატურულმა, კინემატოგრაფიულმა თუ მუსიკალურმა ინტერპრეტაციებმა დაგვანახა.

დიდი ტკივილი და დრამატიზმი აძნელებს ამოცანას, როცა რეალურის ზუსტი ფოტოგრაფირება და ფიქსირება ვერ იძლევა შედეგს.

თუკი ხელოვნება ოდენ კონკრეტული რეალობაა, რაღა საჭიროა მეორე ისეთივე რეალობის შექმნა?

იმ დღეს, 16 მარტს, „კინოს სახლში“ გამართულ ექვსწუთიანი ვიდეორგოლის პრეზენტაციაზე, სათაურით „დედის ლოცვა“, ხელოვნება რეალობას ამაღლებულის ნიშნით გამოხატავდა.

**პრეისტორია:** 1992 წელი. ალმოდებული აფხაზეთი. სოხუმში, თავის მშობლიურ სახლში, დედასთან ჩადის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ურთულესი გზით იწყებს ცხოვრებას. იგი უკვე ხელდასხმულია – ბერობისთვის ემზადება.

თავდაპირველად დედა შეშფოთებით, შიშით, და გაურკვევლის მძიმე მოლოდინით იღებს შვილის ამ გადაწყვეტილებას... თითქოს, ერთდროულად ეკარგება შვილიც და მშობლიური ქალაქიც...

დედა მალე გააცნობიერებს, რომ პირმშოს არჩევანი გარდაუვალია... ეს ასე უნდა მოხდეს!..

დედა – ანგელინა მარგველაშვილი, შვილი – ფოკას მონასტრის ბერი (შემდგომში ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი) მამა სერაფიმე (ჯოჯუა) იმ დღეებში ჯერ კიდევ „ჩვენს აფხაზეთში“ ხვდებიან ერთმანეთს... და როცა შვილი სოხუმის ერთ-ერთი ეკლესიიდან ბრუნდება სახლში, ხედავს: დედა მის ანაფორას აუთოვებს და თან ჩუმად წარმოთქვამს ლოცვისმაგვარ სიტყვებს. ბერს ეს ჩვეულებისამებრ თავისი მორწმუნე დედის ლოცვად მოესმა და როცა ყური დაუგდო, აღმოჩნდა, რომ დედა წარმოთქვამდა ლექსს, სულისშემძვრელი სიტყვებით...

* * *



ვიდეორგოლიც „დედის ლოცვას“ იწყებს მსახიობი **ზურაბ ყიფშიძის** შთამბეჭდავი ხმა. იგი ნაწარმოების შექმნის ისტორიას და, მოკლე ანოტაციას ახმოვანებს.

ვფიქრობთ, ზურა ყიფშიძის ინტონაცია და სწორი წაკითხვა განსაკუთრებულ მნიშვნელოვანებას ანიჭებს თემას.

ამ ერთგვარი ანოტაციის ბოლოს მსახიობი საქართველოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვას კითხულობს.

**წარმოგიდგენთ:**

**მაია სიჭინავას შექმნილი და 18 წლის მანძილზე დროში დაკარგულ სიმღერას „დედის ლოცვა“, რომელიც დღეს ხელახლა დაიბადა.**

**1992 წელს, ცეცხლში გახვეული სოხუმიდან დედამ, „დედის ლოცვა“ ლექსად გაუგზავნა ფოკის მონასტერში ბერად აღკვეცილ შვილს – მამა სერაფიმეს, დღეს უკვე ბორჯომ-ბაკურიანის მეუფეს – მიტროპოლიტ სერაფიმ ჯოჯუას მიუძღვნა.**

**დედისთვის ეს გზა იმედის მომცემია, სურს შვილი ლოცვით გააძლიეროს, რომ ბერის ლოცვა-კურთხევა შემდგომ განსაცდელში მყოფ საქართველოს შეეწევა და მის დაშლილ სხეულს გაამთლიანებს.**

**დედა – ანგელინა მარგველაშვილი დღესაც აფხაზეთში ცხოვრობს და არც ერთი წუთით არ დაუტოვებია სოხუმი...**



**სიმღერა ეძღვნება ყველა ქართველ დედას, სულის გაუტეხლობის, რწმენის სიმტკიცის სიმბოლოდ გადაქცეულთ, საქართველოს ისტორიის ყველაზე მძიმე დღეებში...**

**უფალო, მწყალობელო ჩვენო, გაგვხადე ღირსი შენი მეუფეობისა, განგვასპეტაკე ვითარცა თოვლი, რათა მარად ვიყოთ შენი ღვთაებრივი სიყვარულით გარემოცულნი...**

* * *

ამის შემდგომ გრძელდება უაღრესად ემოციური სანახაობა: ლექსის, არაჩვეულებრივი მელოდიის და გემოვნებით შესრულებული კადრების სინთეზი...

დარბაზში მღელვარება, ცრემლი, დასასრულს – დიდი ოვაციები...

ლექსის ავტორი: **ანგელინა მარგველაშვილი.**

სიმღერის ავტორი: **მაია სიჭინავა.**

შესრულება: გოგონათა კვარტეტი „ხმების“ სამი წევრი, **მაია სიჭინავა, თამრიკო გელიაშვილი, ლელა კოჭლამაზაშვილი.**

არანჟირება: **ოთარ ყუფუნიასი.**

ოპერატორი: **ნუგზარ ნოზაძე.**

მონტაჟი: **დათი ქაცარავასი.**

რეჟისორი და პროდიუსერი: **გენო ცაავა.**

დასასრულ გამოდიან სასულიერო პირები და ქართველები, აფხაზები... მათ ემოციებს „ნამდვილთან“ შეხების დაღი ახლავს.

**რეზო ჩხეიძე:** აფხაზეთის ჭრილობა ყველა ჩვენგანის გულშია. სანამ ეს ჭრილობა იარსებებს, ჩვენი სამშობლო ვერ იქნება კარგად. ეს ყველაფერი გაჟღერდა ლექსში და სიმღერაში... რეჟისორისგან იმდენი ნაღველია ჩადებული, რომ გაუნელებელ ტკივილს გამოხატავს. ეს არის შესანიშნავი ჩანახატი, რომელშიც ჩანს მეუფე სერაფიმეს მოღვაწეობა, მისი საოცარი დედის სულისკვეთება... რეჟისორ გენო ცაავას შემოქმედებაში, რომელიც აკეთებდა ძალიან საინტერესო ფილმებს, ამ ჩანახატით კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერება.

**მიტროპოლიტი დანიელი:** თქვენთან ერთად პირველი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. მინდა ყველას მოგილოცოთ ამ არაჩვეულებრივი ნაწარმოების დაბადება... ეს არის განსაკუთრებული მდგომარეობა, როცა შენი სული, შინაგანი სამყარო რაღაც ამაღლებულით ივსება. ლექსი მართლაც, საოცარია. დედისთვის ეს არ არის ადვილი გადასატანი, რათა შვილი ამქვეყნიურ ცხოვრებას ნებაყოფლობით ტოვებს... მაგრამ მასში, როგორც იდეაში, გაერთიანდა საქართველოს დედების ტკივილი და ეს ლოცვა მალამოდ გაუგზავნა შვილსაც და სამშობლოსაც.

ეკრანზე ვნახეთ მონაცვლეობა ომის საშინელი კადრების ხატების, სასულიერო პირების... ამ ნაწარმოების შემქმნელები ფაქიზად, სიღრმისეულად შეეხნენ ჩვენს ტრაგედიას. ამიტომ მალე მთელი საქართველოს გამაერთიანებელი იქნება.

**მიტროპოლიტი ანდრია:** ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა , ყველაფერი რომ გაიაზრო, შეიძლება სასოწარკვეთილების, სიმძიმის და უიმედობის განცდა დაგეუფლოს... მაგრამ ამ ნაწარმოების შემქმნელებმა იმედიც ჩაგვისახეს... შეიძლება ითქვას, ეს არის სევდიანი იმედი...

მეუფე სერაფიმეს დედა რომ სოხუმელია და იქაურობას არ ტოვებს, ეს არის გამარჯვება იმ ტკივილზეც და იმ ბოროტებაზეც, რაც ჩვენს თავზე ტრიალებს.

მეუფის დედა ანგელინა მარგველაშვილი – უნდა იქცეს სვეტად და ხიდად ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გზაზე.

**მიტროპოლიტი სერაფიმე:** მინდა ღმერთს მადლობა შევწირო დღევანდელი დღისთვის. ეს არაჩვეულებრივი დღეა... მადლობელი ვარ ყველაფრისთვის.

მიხარია, რომ სოხუმელებიც აქ არიან, ამ დარბაზში. უფროსი თაობაც და ახალგაზრდა თაობაც...

ყველა შვილს საკუთარი დედა უყვარს. მშობლებისადმი დიდი სიყვარულის მაგალითს გვაძლევს უწმინდესი. ასაკში განსაკუთრებით ძლიერდება მშობლისადმი მოკრძალება.

რამდენად ბედნიერია ადამიანი, რომელსაც ჰყავს ცოცხალი დედა...

ომის დროს ერთხელ მე და დედა ჩვენს ამ დიდ განსაცდელზე ვსაუბრობდით. მან მითხრა: „ყველაფერი ეს, შვილო, მოხდაო ჩვენი ცოდვების გამო“...

ალბათ ასეც უნდა შევხედოთ ჩვენ ყოველივეს, რაც ხდება...

დედას ვთხოვე, ჩამოსულიყო თბილისში, მაგრამ მან ეს განსაცდელი თავის თავზე აიღო: – მე უნდა დავრჩეო სახლში, აფხაზები ცუდი ხალხი არ არიანო...

ყველასთვის ცხადია, რა ძნელია ეს...

დიდი მადლობა დღევანდელი დღისთვის...

დღეს ქრისტეს სიყვარულის დღე იყო...

* * *

ოთხი დღის წინათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდესს და უნეტარესს ილია II-ეს უნახავს ეს ვიდეორგოლი. მოწონებია და უბრძანებია: სრულიად საქართველომ უნდა ნახოსო...

# გურჯები ოსმალეთში

**შეიძლება თუ არა დავივიწყოთ ის ქართველები, რომელთაც ჩვენ ვახსოვართ, ანუ ახსოვთ ქართული ენა და ისტორიული სამშობლო. გადიან საუკუნეები. და ერთა ასიმილაციის თუ გლობალიზაციის პროცესების დაწყების შემდგომაც ამ ადამიანებს არ ტოვებენ წინაპართა აჩრდილები: „ჩვენ აღარ ვახსოვართ გურჯისტანში“, გულისტკივილით უთქვამს ქართული წარმომავლობის ერთ-ერთ თურქეთის მოქალაქეს. ამა წლის 30 მაისს სტამბოლში გამართულმა გამოფენამ „ქართველები ოსმალეთის იმპერიაში“ თავისი ემოციური მუხტით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ექსპონირებული იყო თურქეთის ფონდსაცავებსა და არქივებში დაცული ქართული წარმომავლობის პიროვნებათა ფოტოები და მათი ბიოგრაფიები. გამოფენას მესამე, მეოთხე, ზოგჯერ მეხუთე თაობის შთამომავლობა ათვალიერებდნენ და ამაყობდნენ იმით, რითაც ჩვენ თითქოს აღარც ვამაყობთ, ქართველობით.**

გამოფენას ორგანიზატორობა გაუწია თურქეთში არსებულმა **„საქართველოს მეგობრობის ასოციაციამ“**. ე. წ. „თურქ-ქართველთა“ სახელით გვესაუბრა ამავე საზოგადოების წევრი ბატონი **ემინ შექერჯი**. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო **ემინ შექერჯის** ქართულის მოსმენა. ეს იყო საუკუნეებში გამოტარებული, თითქმის მივიწყებული კილოკავები და დროის დისტანციით კვალდამჩნეული ინტონაცია. იგი ხმარობდა სიტყვებს, რომლებიც ჩვენ უკვე დავივიწყეთ და გაუგებარი ნეოლოგიზმებით ჩავანაცვლეთ. მის საუბარში ერთდროულად იგრძნობოდა ახლობლობის და შორეულობის ერთდროული განცდა.

**ემინ შექერჯი:** ქართული ჩემი წინაპრებისგან, ოჯახში ვისწავლე, ჩემი და ბევრი, იქაური ქართველი ოჯახის ენა ქართული გახლავთ და პირველად ამ ენაზე ვიწყებთ ლაპარაკს. როდესაც დიდი ხანი თბილისში ვიყავი და უკან დავბრუნდი, დედამ მითხრა: ჩვენებური ქართული დაგვიწყებიაო“.

**— და მაინც, რა სიტყვებია ბატონო ემინ, რომლებიც ჩვენ დავივიწყეთ და თქვენ კი საუკუნეებია ინახავთ.**

— ჩვენში ამბობენ, მაგალითად, როდესაც კაცი გარდაიცვალება — **„დაიხარჯა“**. ეს იმ შემთხვევაში, თუ მან ღირებულად და ღირსეულად გაატარა ცხოვრება, მაგრამ თუ უღირსი და უგვანო კაცი იყო, იტყვიან: **„გაცვდაო“**... როდესაც ჩვენთან სტუმარი მოდის, სადილის წინ ეუბნებიან: **„მოდი ხელი დეიმშვენეო“**. ეს ნიშნავს, ხელი დაიბანეო. ჩვენში ოჯახს ეძახიან ბუხარს, **„მოდი ბუხართან დავსხდეთო“**. ე. ი. ოჯახთან დავსხდეთო. აქ ოჯახის ნამდვილი დანიშნულება იგულისხმება, ვისი წევრებიც ერთმანეთს უნდა ათბობდნენ...

მე გული მწყდება, რომ ქართულ ენაში შემოვიდა ბარბარიზმები და ქართველი ახალგაზრდები რუსულ და ინგლისურ გამოთქმებს ანაცვლებენ ჩვენს ლამაზ სიტყვებს.

**— ბატონო ემინ, 30 მაისს სტამბოლში გამართულ გამოფენაზე გვიამბეთ.**

— ქართველებმა უნდა იცოდნენ ვინ იყვნენ მისი წინაპრები ოსმალეთის იმპერიის დროიდან, ფაქტობრივად, როგორც საარქივო მონაცემები ადასტურებენ, ისინი ჩვენთვისაც და თქვენთვისაც საამაყოები იყვნენ. თქვენ იცით, რომ ოსმალეთის სადრაზანები (პრემიერ-მინისტრები) ქართველები იყვნენ. სხვათა შორის, ამჟამადაც თურქეთის რესპუბლიკის მართვაში რამდენიმე ქართველი მონაწილეობს. თუნდაც, თურქეთის პრემიერ-მინისტრი და ასევე ჩემი ბიძაშვილები, რომლებიც გუბერნატორები არიან.

გამოფენაზე ეკიდა ფოტოები, ძველი თაობის გამოჩენილი, ცნობილი და ნაკლებად ცნობილი და ზოგიც სრულიად უცნობი ქართველებისა, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. თურქეთის და ირანის ქართველები გამოფენის დასათვალიერებლად ოჯახებით მოვიდნენ. მათ თვალებზე სიხარულისა და ნაღვლის ცრემლები იყო. ისინი ამაყობდნენ წინაპრებით, ზოგმა კი იქვე აღმოაჩინა ბაბუის თუ დიდი ბაბუის ფოტო, ცხოვრების ამბები თუ დოკუმენტები... ეს იყო აღმოჩენების და მოგონებების დღე, რომელიც სიყვარულით იყო გამთბარი. სტამბოლის საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოებამ“ ამ გამოფენის მასალების მიხედვით გამოსცა ეს ძალიან კარგი წიგნი, რომელსაც ჰქვია **„გურჯები ოსმალეთში“**.





ზურაბ ცინცქილაძე



* * *

რადიო „საქართველოს ხმის“ ეთერში, კვირას, გადაცემა „რადიო თეატრის“ ეთერში მთელი საათის განმავლობაში ვუსმენდით საუბარს ამ თემაზე, რომელსაც თურქულ-ქართული ურთიერთობების მკვლევარად ქცეული, მსახიობი და საზოგადო მოღვაწე ბატონი **ზურაბ ცინცქილაძე** უძღვებოდა. მან ეთერის დასასრულ გვიჩვენა ეს არაჩვეულებრივი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნი-ალბომი და გვიამბო სტამბოლის ამავე ექსპოზიციის ბათუმის თიბისი ბანკის დარბაზში გადატანილი ამბავი, რომელიც რამდენიმე მღელვარე დღის შემდეგ ახლახან დაიხურა.

**ზურაბ ცინცქილაძე:** თურქეთში რამდენიმე წლის წინათ ერთი ახალგაზრდა კაცი გავიცანი, რომელიც სტამბოლის არქივში მუშაობდა და გავიგე წარმოშობით ქართველი ყოფილა. ვუთხარი: მოძებნე შენი ისტორიული სამშობლოს და წინაპრების ამბები-მეთქი. მოგეხსენებათ, საერთოდ, არქივებში ბევრი რამ დევს და თუ ვიღაცამ არ აღმოაჩინა და არ ამოიღო დასამუშავებლად, იდება და იდება, უკეთესი მომავლის მოლოდინში... ამ ახალგაზრდა კაცმა, რომლის სახელი და გვარია **მურად ქასიბი,** ინტენსიური მუშაობა დაიწყო. ჯერ შემატყობინა 4 ვიპოვეო და მერე 3 და ასე ავიდა 400-მდე. იყო უამრავი მასალა, თუ რა გაუკეთებიათ ქართული წარმომავლობის ადამიანებს ოსმალეთის იმპერიაში. მინდა გაუწყოთ, რომ აღმოჩენილ იქნა ქართველ დიდგვაროვანთა გვარები, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში მიღვაწეობდნენ: თავდგირიძეები, ბეჟანიძეები, დიასამიძეები და ა.შ. ისინი იყვნენ ქვეყნის ელიტა: მწერლები, მხატვრები, პოლიტიკოსები, სასულიერო მოღვაწენი. მათი საქმიანობა მრავალფეროვანი გახლდათ. აშენებდნენ ხიდებს, კულტურულ თუ სამედიცინო დაწესებულებებს, მეჩეთებს, სკოლებს.

არანაკლებ სულისშემძვრელი იყო იგივე ექსპონატების გადმოტანა ბათუმში. ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, მხარდაჭერა და სიღრმისეული გაგება იმ პრობლემისა, რომელიც **„თიბისი ბანკმა“** გამოიჩინა. გამოფენაც მათივე ოფისში გაიმართა. იგივე მასალები მალე თბილისში, „თიბისის“ სათაო ოფისშიც გამოიფინება და თქვენ ნახავთ უაღრესად საინტერესო და ღირსებით სავსე ქართველებს, რომლებიც ჩვენ დავივიწყეთ, მაგრამ მათ დიდ პატივს მიაგებენ თურქეთში. ეს წიგნი ჯერჯერობით თურქულ ენაზეა გამოცემული და უკვე დაიწყო თარგმნა ქართულად. თურქეთის მხარე დაინტერესებულია, რომ ეს მასალები სამ ენაზე იდოს: თურქულად, ქართულად და ინგლისურად.

ჩვენს საუბარში ისევ **ემინ შექერჯი** ჩაერია და გვითხრა, რომ მასალები კიდევ ბევრია და ამ წიგნის მეორე, მესამე, მეოთხე და ა. შ. ტომები გამოვა. დაიწერება თურქეთში მცხოვრები ქართული ოჯახების ისტორიაზე. ქართული საზოგადოება კიდევ მრავალი მოულოდნელობის წინაშე დგება: მათ არ უნდა ერქვათ უცნობი ისტორიები და პერსონალიები, რადგან საქართველოს და ქართველების ისტორიაა. კრებულის „გურჯები ოსმალეთში“ თითოეული ფურცელი ცალკე ეპოპეა, კვლევის წიგნების, ფილმების მასალებია... თუ როგორ განხორციელდება ეს ყველაფერი, რა მოჰყვება ამ დიდებულ დასაწყისს, მომავალი გვიჩვენებს.

**ხატია ცარციძე,**
მარკეტინგული და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტი

**სურათებზე: ზურაბ ცინცქილაძე ხსნის გამოფენას; საგამოფენო დარბაზში.**



ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სხვა მომხსენებლის ძებნაში

**სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე მომავალ კვირას ქართველები უკანასკნელი წლების განმავლობაში პირველად არ შეეცდებიან მიაღწიონ რუსეთისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას ამ ორგანიზაციაში. როგორც საქართველოს პარლამენტში გვაცნობეს, ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება ამჯერად „ტაქტიკურად გაუმართლებელია“. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი თურქი მევლუტ ჩაუშოღლუ, რომელიც ამ კვირაში საქართველოში იმყოფებოდა, დაჰპირდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ მალე მოსკოვში ყოფნის დროს იგი პირადად შეეცდება დაარწმუნოს რუსეთის წარმომადგენლები ასამბლეის წინა გადაწყვეტილებათა შესრულების აუცილებლობაში**



შარშანდელი შემოდგომის სესიის დროს ქართველებმა წამოაყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ დაისაჯოს რუსეთის დელეგაცია ხმის უფლების ჩამორთმევით იმისთვის, რომ რუსეთმა არ შეასრულა ორგანიზაციის წინა დადგენილებანი. მოსკოვმა ყურად არ იღო 2008 წლის ოქტომბერში და 2009 წლის იანვარში მიღებული რეზოლუციები, რომლებიც მოუწოდებდნენ მას უარი ეთქვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე და გამოეყვანა რუსი სამხედროები ამ რეგიონებიდან. მაშინ თბილისის პოზიციას მხარი დაუჭირა მხოლოდ 35 დეპუტატმა, თუმცა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობს 318 პარლამენტარი 47 ქვეყნიდან.

მიმდინარე წლის ზამთარში და გაზაფხულზე საქართველომ კვლავ წამოსწია ეს საკითხი ორგანიზაციის სესიებზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. თანამომხსენებელთა – უნგრელი მათიას იორშისა და ბრიტანელი დევიდ უილშირის შეხედულებანი ასამბლეაზე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან: პირველს ეკავა ანტირუსული პოზიცია, მეორე კი ყველას დიალოგისკენ მოუწოდებდა. ამავე დროს აპრილში ევროპის დეპუტატებმა მოისმინეს შვეიცარიის წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის გამოსვლა. მან 2009 წლის შემოდგომაზე გამოაქვეყნა ევროპის კომისიის მოხსენება კონფლიქტის შესახებ სამხრეთ ოსეთში. მაშინ ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მომხდარში არის პასუხისმგებლობა რუსეთისაც და საქართველოსიც, მაგრამ პირველი გასროლა ქართველების სინდისზე იყოო.

საქართველოს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა გვაცნობა, რომ ახლა საქართველოს ეყოლება ახალი თანამომხსენებლები. იორში ვერ გავიდა უნგრეთის ახალ პარლამენტში. მას შეცვლის დანიელი პარლამენტარი მიხაელ იანსენი. შარშან სექტემბერში ჩვენთან საუბარში ის მხარს უჭერდა სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ევროკავშირის მეთვალყურეებს არ შეუძლიათ მოაწყონ მონიტორინგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ქართველი ლტოლვილები კი ვერ ბრუნდებიან ამ რესპუბლიკებში.

„რაც შეეხება უილშირს, რომლის უფლებამოსილებაც, როგორც დეპუტატისა თავის სამშობლოში, იწურება შემოდგომაზე, აქ ჩვენთვის მთავარია – შეიცვალოს ისიც, ვინაიდან, საქართველოს მხარის აზრით, ეს პარლამენტარი არაობიექტურია“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ. ბრიტანელი უილშირი ამ გაზაფხულზე იყო სამხრეთ ოსეთის საელჩოში მოსკოვში და იქ გამართა მოლაპარაკება ამ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელთან ბორის ჩოჩიევთან. ქართველებს იმედი აქვთ, რომ ბრიტანელი თანამომხსენებლის შეცვლის შემდეგ დამოკიდებულება საქართველოსადმი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში შეიცვლება, რის შემდეგაც ისინი კვლავ შეეცდებიან ჩამოართვან რუსეთს ხმის უფლება. მაგრამ, ვინაიდან ჯერჯერობით ეს მცდელობანი წარმატებით ვერ დამთავრდა, პარალელურად ქართველები აპირებენ მოიფიქრონ სხვა სანქციები. ალტერნატივის არსი ჯერჯერობით უცნობია. „მუშავდება კონკრეტული ვარიანტები, ჯერჯერობით ყველაფერი გულდასმით მოწმდება და ზუსტდება, ვაწარმოებთ კონსულტაციებს ჩვენს პარტნიორებთან ორგანიზაციაში“, – აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

◉ ყოფილთა შვილები

# „... ყველაფერი მონაჩმახია და ჭორი“...

**რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის ქალიშვილი ტატიანა იუმაშევა (დიაჩენკო) კარგა ხანია ინტერნეტით საზოგადოებრიობასთან გულახდილ ლაპარაკს ცდილობს. მისი თქმით, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ბრალდებების პასუხად, თითქოს კრემლში მუშაობისას მან „მრავალმილიონიანი ქონება მოიხვეჭა“, ასევე ძვირფასი ავტომანქანებისა და საზღვარგარეთ საარაკო ვილების სახით უძრავი საჩუქარი მიიღო, მან საკუთარ ბლოგში დაწვრილებით აღწერა, თუ რა სახსრებით ცხოვრობს**

„ათი ათას რუბლ ხელფასს როგორც ელცინის საქველმოქმედო ფონდის დირექტორი ვღებულობ, – აცხადებს ტატიანა იუმაშევა. – მიმდინარე ხარჯს ჩემი მეუღლე ისტუმრებს, რომელსაც 2001 წელს გავყევი. მას შემდეგ რაც ვალენტინმა კრემლში მუშაობას თავი დაანება, იგი რამდენიმე კომპანიაში მუშაობდა... ფული, რომელსაც მას უხდიან, ყოველთვიურად გვყოფნის“.

ქალბატონი იუმაშევა იმასაც პასუხობს, თუ რა სახსრებით ახერხებს მისი ოჯახი გამუდმებით საზღვარგარეთ დასვენებას: „ამ დიდ ხარჯს ქალიშვილის მეუღლე, ოლეგ დერიპასკა სწევს. პოლინა სხვა კაცს რომ გაჰყოლოდა ცოლად, მაშინ შვებულებასაც სხვანაირად გავატარებდით, ვთქვათ, თურქეთში, ან სოჭში. სხვათა შორის, შარშან ოლეგმა კრიზისის გამო ხმელთაშუა ზღვაზე აგარაკის დაქირავება ვერ შეძლო“.

თუმცა, ტატიანა იუმაშევას თქმით, მილიარდერ დერიპასკას „ხელმომჭირნეობა“ ყველას სასიკეთოდ წაადგა: შვებულება ოჯახს კრასნოდარის მხარის ერთ-ერთ სტანიცაში გაუტარებია, სადაც ბავშვებს „კაზაკური სიმღერები ასწავლეს“.

იგი ასევე უარყოფს მილიონების შოვნასაც, რომლებიც თითქოსდა კრემლში მუშაობის დროს იშოვნა: „... ეს სიცრუეა. ახლა ცდილობენ ბრალი დამდონ იმაში, თითქოს კრემლში მუშაობის პერიოდში ზოგიერთ ბიზნესმენს სხვადასხვა საქმეს „ვუწყობდი“, რაშიც ისინი თავიანთი კომპანიების აქციებს მინაწილებდნენ. ესეც სიცრუეა. მეტიც: ლაპარაკობენ, თითქოს ისინი მარტო აქციებს კი არა, არამედ ვილებს, სახლებს, ბინებს, რეზიდენციებსა და სხვა უძრავ ქონებას მჩუქნიდნენ როგორც მოსკოვსა და მის შემოგარენში, აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, იტალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ესეც მტკნარი წყლის სიცრუეა. არც მაქვს და არც არასოდეს მქონია რომელიმე კომპანიის აქციები – არც „სიბნავთობის“, არც „გაზპრომის“, არც „ლუკოილის“, არც „აეროფლოტის“, არც „ორტ“-ს, არც „სვიაზინვესტის“, არც „რუსალის“, არც „ნორნიკელისა“ და არც რომელიმე სხვის.

ყოველივე ამის შემოწმებას ქალბატონი იუმაშევა საზოგადოებრიობას აქციონერთა რეესტრების შემოწმების გზით სთავაზობს, თან კიდევ ერთ ცნობილ „ლეგენდას“ იხსენებს:

„ათობით პუბლიკაცია იყო ნიკოლინას მთაზე ჩემი სასახლის თაობაზე... ზოგიერთი კომენტატორი ახლაც მეკითხება ამ სახლის თაობაზე. მე კი აი რას ვთავაზობ იმ ჟურნალისტებს, ვინც ნიკოლინას მთაზე ჩემს ციხე-დარბაზზე წერდნენ... შეუძლიათ მიმართონ რომელიმე ადგილობრივ ორგანოს ოფიციალურად ამ ქონების კუთვნილების თაობაზე... ამთავითვე შემიძლია გითხრათ, რომ ამ სახლს არც ჩემთან, არც რომელიმე ჩემს ახლობელთან არანაირი კავშირი არა აქვს“.

იგივეს გაკეთებას ბორის ელცინის ქალიშვილი სთავაზობს საფრანგეთსა თუ ინგლისში ვითომდა არსებულ მის ვილებთან დაკავშირებით: „ნებისმიერს, ვინც მსოფლიოს რომელ წერტილში გნებავთ, ვითომდა ჩემი კუთვნილ რაიმე ქონებას მიაგნებს, შეუძლია დაეპატრონოს“.

გარდა ამისა, იგი ასევე პასუხობს იმ სკეპტიკოსებს, ვინც, მართალია, ეთანხმება იმას, რომ მის სახელზე რაიმე უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული, მაგრამ მინიშნებით მაინც ამბობს, რომ მისი გაფორმება მესამე პირებზე სირთულეს არ წარმოადგენს. „კეთილი, ვთქვათ ვაღიარე, რომ რაღაც სახლი სხვაზე გავაფორმე, მაშინ დამისახელონ ის ქვეყანა, ქალაქი, ზუსტი მისამართი. მაგრამ ამის თაობაზე კაციშვილი ხმას არ იღებს. იცით, რატომ ვერ ამბობენ ვერაფერს? იმიტომ, რომ ყველაფერი მონაჩმახია და ჭორი, სხვა არაფერი“.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე.**



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ოლეგ დერიპასკა, მისი მეუღლე, ვალენტინ იუმაშევის ქალიშვილი პოლინა, ვალენტინ იუმაშევი და ტატიანა იუმაშევა ჩოგბურთში დევისის თასის ფინალზე. საფრანგეთი, 2002 წ.

## დედამიწის ზურგზე

**ყირგიზეთის ხელმძღვანელმა დაასახელა სამხრეთში ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლთა ოდენობა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: რუსეთმა თავისი მოქალაქეები ბედის ანაბარა მიატოვა**



როზა ოტუნბაევას სიტყვებით, ოშში სახეზეა ჰუმანიტარული კატასტროფა, უწესრიგობის უკან ექს-პრეზიდენტ ბაკიევის ოჯახი დგას. სამშვიდობო დახმარებას რუსეთისგან ელოდებიან. იგი არ ზრუნავს საკუთარ მოქალაქეებზე, რომლებიც გარბიან კონფლიქტის ზონიდან. სისხლისღვრის ფონზე ხელისუფლება უარს არ ამბობს რეფერენდუმზე.

* * *



**იაპონელი პორნოვარსკვლავი აცხადებს, რომ დანებდება ჩინელებს კომპენსაციის სახით ქვეყნის ოკუპაციისთვის**

24 წლის ანრი სუზუკიმ ეს განცხადება გააკეთა მალე მას შემდეგ, რაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ისტორიაში (მისი სპეციალიზაცია სწორედ ჩინეთის ოკუპაციაა). როგორც ჩანს, დოქტორად გახდომის შემდეგ მის სუზუკი არ აპირებს შეწყვიტოს პორნომსახიობის პროფესია.

* * *

**პენტაგონის შეფი: რუსეთს ირანის პრობლემებისადმი „შიზოფრენული“ მიდგომა აქვს**



მოსკოვი აწარმოებს აქტიურ კომერციულ თანამშრომლობას თეირანთან, თანაც მრავალი წელია რუსეთის ხელმძღვანელობა ირანს აღიქვამს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საფრთხეს რეგიონში, განაცხადა რობერტ გეიტსმა, როდესაც გამოდიოდა სენატის შეიარაღების საკითხების კომიტეტის სხდომაზე.

* * *

**არკანზასის აეროპორტში აღმოაჩინეს ტვირთი 60 მოჭრილი კაცის თავით**



გადაწყვიტეს შეემოწმებინათ შეფუთული კონტეინერები, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ სათანადო მარკირება. თანამშრომლებმა პოლიციას მოახსენეს საზიზღარი აღმოჩენის შესახებ. სამართალდაცვის ორგანოებმა მალე გაარკვიეს, სად და რისთვის იგზავნებოდა ადამიანთა თავები.

* * *

**ობამა დათანხმდა, კვლავაც გადაიხადოს ამერიკისთვის საშიში რუსული ურანის საფასური**



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ერთი წლით გაუგრძელა ვადა გადასახადს ურანის მიწოდებისთვის, რომელიც ამოღებულია რუსეთის ფედერაციაში ძველი ბირთვული ქუზინებიდან. რუსეთის მიერ დაგროვილი ბირთვული მასალები „კვლავაც წარმოადგენენ არაჩვეულებრივ და განსაკუთრებულ საფრთხეს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროებისა და საგარეო პოლიტიკისთვის“, – დარწმუნებული არიან ვაშინგტონში.

* * *



**პაკისტანელს, რომელიც ცდილობდა ნიუ-იორკის ცენტრში აეფეთქებინა მანქანა, ბრალი დასდეს 10 პუნქტში**

ნიუ-იორკში დიდმა ფედერალურმა ჟიურიმ ფედერალური პროკურატურის დასკვნები მიიჩნია საკმარისად სასამართლო განხილვის დაწყებისთვის. 21 ივნისს ფაისალ შახზადს ოფიციალურად წაუყენებენ ბრალდებას ფედერალურ სასამართლოში მანჰეტენზე.

* * *

**რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ბრალი დასდო თეთრ სახლს გამოძალვაში, მაგრამ შემდეგ ბოდიში მოიხადა**



როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, ჯო ბარტონმა, რომელიც წარმომადგენელთა პალატაში ტეხასის შტატს – ნავთობის მრეწველობის ამერიკის ცენტრს – წარმოადგენს, წარსულში ღებულობდა ამ დარგის კომპანიის პოლიტიკურ შესაწირებს. მის გამონათქვამებს უარყოფდნენ რესპუბლიკელების ლიდერები პალატაში და მან მოახდინა თავისი განცხადების დეზავუირება.

* * *

**ამერიკის ნიუ-მექსიკოს აეროპორტში ჩამოვარდა ორმოტორიანი თვითმფრინავი: დაიღუპა 5 კაცი**



კიდევ ორმა კაცმა, რომლებიც ბორტზე იმყოფებოდნენ, მიიღეს დაზიანებები და ამჟამად კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან. თვითმფრინავი დაიღუპა სიერა-ბლანკას აეროდრომზე ლინკოლნის ოლქში. ავიაკატასტროფის ზუსტ მიზეზებს იკვლევენ.

ჟურნალისტური გამოძიება

**საქართველოში, 2006 წლიდან მოყოლებული, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ავტომაგისტრალების მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციაზე ყოველწლიურად ასობით მილიონი ლარი იხარჯება. დაფინანსების ძირითადი წყაროა მსოფლიო ბანკის შეღავათიანი კრედიტები, რომელთა ოდენობამ თითქმის მილიარდ ლარს მიაღწია.**

დარგში მომუშავე ადგილობრივი სპეციალისტების დასაქმების ნიშნული დღითი დღე მცირდება, რაც იმით არის გამოწვეული, რომ აქ გამოცხადებული ყველა მსხვილ ტენდერში, როგორც წესი, იმარჯვებენ უცხოელები. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული თანხების ძირითად ნაწილს, ბუნებრივია, ითვისებენ უცხოეთის კომპანიები. შედეგად, საქართველოდან ფული მასობრივად უცხოეთში გაედინება. იქმნება საგანგაშო სიტუაცია, თუ ასე გაგრძელდა, იმას მივაღწევთ, რომ სულ მალე საქართველოში აღარ იქნებიან არც სამამულო ორგანიზაციები და არც ადგილობრივი სპეციალისტები. დასახელებული გზების მაღალი ხარისხი და უსაფრთხოება.

**2004-2006 წლებში, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ, რუსეთის მოქალაქისა და ცნობილი ბიზნესმენის კახა ბენდუქიძის ინიციატივით და ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელდასხმით, საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელთა მეშვეობით მოქმედი იურიდიული პირების საქმიანობის საბალანსო მაჩვენებლები ფართო საზოგადოებისთვის გახდა გასაიდუმლოებული. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილილ თანხების ხარჯვის გაურკვევლობა და იქცა სხვადასხვა დანაშაულებრივი, ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღების მკვებავ წყაროდ. ამგვარი საკანონმდებლო ცვლილების შედეგად 2006 წლიდან საქართველოში საავტომობილო გზებთან დაკავშირებით ჩატარებულ საერთაშორისო საპროექტო-საექსპერტო-სამშენებლო-ტექსაზედამხედველო ტენდერებში სამამულო ორგანიზაციების მონაწილეობა ფაქტობრივად აიკრძალა (!).**

# დივერსია საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ



## ვინ არიან მისი ავტორები და შემსრულებლები?

**ჩვენი სპეციალისტების შეფასებით, უცხოელების მიერ დაპროექტებული და აშენებული საავტომობილო გზები უმრავლეს შემთხვევაში ვერ პასუხობენ საერთაშორისო ნორმატიულ მოთხოვნებს. ამასთან, როგორც ანგარიშობენ, დახარჯული თანხებით აშენდებოდა ორჯერ მეტი სიგრძისა და მაღალი ხარისხის საავტომობილო გზები.**

იბადება კითხვა: რა ამოძრავებს მსოფლიო ბანკს, საქართველოზე გასცეს ასმილიონიანი კრედიტები, თუ სამამულო ორგანიზაციები ამ კრედიტების ათვისებაში ფაქტობრივად არ მონაწილეობენ?

ჩვენ შევეცადეთ გაგვეცა პასუხი დასმულ კითხვაზე.

1991-2000 წლებში საქართველოში საავტომობილო გზების დაფინანსება იმდენად მცირე იყო, რომ ეს დარგი ფაქტობრივად არ ვითარდებოდა. ხელისუფლება შექმნილ მდგომარეობას ბიუჯეტის დეფიციტით ხსნიდა.

2000-2005 წლებში დარგში დადებითი ძვრები მოხდა: დაიწყო „ბათუმი-ქობულეთის" ორმხრივი გვირაბის მშენებლობა, რომელიც 2005 წლიდან ამოქმედდა. ჩატარდა შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების „თბილისი-რუსთავის", „თბილისი-მარნეული-გუგუთის", „საჯავახო-ლანჩხუთი-გრიგოლეთის", „მარნეული-წითელი ხიდის", აგრეთვე, ჭოროხის, ხრამის და სხვა მდინარეთა ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამუშაოთა დაფინანსება განხორციელდა საქართველოს ბიუჯეტის სახსრებით, აგრეთვე, მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის კრედიტების გამოყენებით. იმ პერიოდში არც მსოფლიო ბანკი და არც სხვა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია გამართულ ტენდერებში არანაირად არ ზღუდავდნენ სამამულო საავტომობილო გზების ორგანიზაციებს. სწორედ ამიტომ ისინი ხსენებულ ტენდერებში არა მარტო თავისუფლად მონაწილეობდნენ, არამედ იმარჯვებდნენ კიდეც, რის შედეგადაც დარგი მთლიანობაში განვითარდა.

სამამულო საავტომობილო გზების დარგში უმნიშვნელოვანესი, რაც 2000-2005 წლებში გაკეთდა, არის საერთაშორისო საავტომობილო გზის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის", „ნატახტარი-იგოეთის" მონაკვეთის მოდერნიზაციის დაწყება, ანუ მისი გადაქცევა 1 ა კატეგორიის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალად. მისი საპროექტო, საექსპერტიზო, ტექსაზედამხედველო სამუშაოები შეასრულეს სამამულო ორგანიზაციებმა, ასევე სამშენებლო სამუშაოების უდიდესი ნაწილი განახორციელეს ადგილობრივმა კომპანიებმა, რამაც განაპირობა

„საპროექტო-სამშენებლო სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის ბათილად ცნობამ სახელმწიფოს მოუხსნა პასუხისმგებლობა მშენებარე ობიექტების სიმტკიცეზე, მდგრადობასა და არქიტექტურულ შესაბამისობაზე. ამავე მოქმედებამ უარყო პროექტის სახარჯთაღრიცხვო ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტი გახდა დაუცველი.

საქართველოში საკანონმდებლო დონეზე დღემდე არ არის შექმნილი დარგის საქმიანობისთვის საჭირო თანამედროვე ეროვნული ნორმატიული ბაზა. მის ნაცვლად მოქმედებს ყოფილ სსრკ-ის და მსოფლიოს 36 ქვეყნისავის განკუთვნილი ნორმატიული მოთხოვნები, რაც აბრკოლებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას, აგრეთვე საავტომობილო გზების დარგის განვითარებას.

**2007 წლის ივნისში ქვეყნის ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა საავტომობილო გზების დარგში მომუშავე წამყვანი სამამულო ორგანიზაციების წინააღმდეგ განეხორციელებინა სადამსჯელო ოპერაცია, აღმკვეთი ღონისძიების, საჯარიმო სანქციებისა და საპროცესო გარიგებების გამოყენებით. თუმცა, რაც უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ხსენებული „ოპერაცია" არ შეეხო რეპრესიაში მოყოლილ ორგანიზაციების დამკვეთს — საავტომობილო გზების დეპარტამენტს.**

საზოგადოებას ალბათ ახსოვს დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარის რომან დალაქიშვილის განცხადება: საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის პასუხისმგებელი თავის კონტრაქტორებზეო. ეს მაშინ, როცა ე.წ. კონტრაქტორები ასრულებდნენ დეპარტამენტის მიერ გაცემულ სახელშეკრულებო დაკვეთებს, რომელთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობას არსებულ პროექტებთან მიმართებაში ხელმოწერით ადასტურებდა პირადად რომან დალაქიშვილი.

**ისმის სავსებით ლოგიკური კითხვა: თუ დამკვეთი არ არის დამნაშავე, მაშინ კონტრაქტორების ბრალი მხოლოდ იმაშია, რომ მალავდნენ საკუთარი ორგანიზაციების შემოსავლებს? გაუგებარია, რატომ იყვნენ დაკავებულები ამ ორგანიზაციების პირველი პირები, როცა მათი დაკავებისას სამართალდამცავი ორგანოებისთვის უცნობი იყო, მალავდნენ თუ არა ისინი შემოსავლებს?**

მოყვანილი ფაქტი პირდაპირ ადასტურებს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა („კუდი", შემოსავლების სამსახური პროკურატურა, სასამართლოძ აშკარად დაარღვიეს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაზეც მათ პასუხი კანონის წინაშე დღემდე არ უგიათ. თუმცა არ ვკარგავთ იმედს, რომ ადრე თუ გვიან, ისინი უეჭველად დაისჯებიან.

**ჩატარებული რეპრესიული ღონისძიება უდავოა, მიზნად ისახავდა დარგში მომუშავე სამამულო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ განადგურებას, რაც უცხოურ კომპანიებს საქართველოში შემოსავლისა და გაბატონებისთვის „მწვანე შუქს" უნთებდა.**

ჩვენ შევისწავლეთ მსოფლიო ბანკის საქმიანობის განმსაზღვრელი დებულება და ნორმატიული ხასიათის ინსტრუქციები, რითიც ამ ორგანიზაციამ ამა თუ იმ ქვეყანაში მუშაობისას უნდა იხელმძღვანელოს.

**ირკვევა, რომ მსოფლიო ბანკს არა აქვს კომერციული საქმიანობის უფლება. მისი მთავარი დანიშნულებაა, ფინანსური დახმარება გაუწიოს იმ ქვეყნებს, რომლებიც დაადგნენ განვითარების გზას, მათ შორის საქართველოს. სინამდვილეში რა ხდება? ჩვენი სახელმწიფოს პასუხისმგებლობით მსოფლიო ბანკისგან მიღებული კრედიტებით, როგორც წესი, სარგებლობენ ამ ბანკის დონორი ქვეყნების კომპანიები, რაც აგრეთვე ადასტურებს საქართველოდან ვალუტის ხელოვნურად გადინების არსებობას.**

მსოფლიო ბანკი თავისი დებულების და საქართველოსთან გაფორმებული არაერთი საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულია, აკონტროლოს გაცემული კრედიტების მიზნობრიობა, რაც მისი მხრიდან სრულიად იგნორირებულია.

**დარგის სპეციალისტების დახმარებით ჩვენ შევძელით დაგვედგინა, რომ დახარჯული თანხები თითქმის ორჯერ აღემატება საბაზრო ფასებს, ეს პირდაპირ ადასტურებს მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტების არამიზნობრივ გამოყენებას, რის შედეგად ზარალდება ქვეყნის ბიუჯეტი, ანუ მთლიანობაში საქართველოს მოსახლეობა. მსოფლიო ბანკმა, შპს „ინოქსამ", შპს „კოკს კონსალტინგმა", შპს „აშტრომ ინტერნეიშენელმა", შპს „აკორდმა" და რიგმა სხვა უცხოურმა ორგანიზაციებმა საქართველოს წინააღმდეგ ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული — ეკონომიკური დივერსია, რის შედეგად ქვეყანას მიაყენეს აუნაზღაურებელი ზარალი.**

ჩვენს მიერ დადგენილია, რომ მსოფლიო ბანკი ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ეწეოდა ან ეწევა საქმიანობას, როგორც წესი, მიზნად ისახავს ამ ქვეყნების ეკონომიკის ნგრევას. ამაში დავრწმუნდით ჩვენი ქვეყნის მაგალითითაც.

**აქედან გამომდინარე, ვაცხადებთ, რომ მსოფლიო ბანკის საქმიანობა საქართველოში არის ეკონომიკური ხასიათის დივერსია, რომელსაც დაუმალავად დღემდე ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება. ეს სამშობლოს ღალატის ტოლფასია. იბადება ეჭვი, რომ მსოფლიო ბანკს, საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში მყოფ პირებს და უცხოეთის ზემოთ ხსენებულ კომპანიებს შორის არსებობს გარიგება ე.წ. ზედმეტი თანხის მხარეთა შორის გადანაწილების შესახებ.**

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონტროლის პალატა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ვალდებული არიან, შეუდგნენ ჩვენს მიერ წამოყენებული ბრალდებების შესწავლას, ხოლო მთავარი პროკურატურა მოვალეა, აღძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე"

---

ენა მდიდარი...



**განყოფილებას უძღვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბოჯგუა**

# „და მის სიკვდილით არ გაგახარებთ"

## 7. ოკუპანტი კალკები

კალკის განმარტება მრავლადაა სხვადასხვა ლექსიკონში, სახელმძღვანელოსა თუ საცნობარო ლიტერატურაში. მე უფრო სრულყოფილი მეჩვენა პროფ. ანდრო ჭილაიას ვარიანტი: კალკი არისო „სიტყვა, გამოთქმა თუ მთელი წინადადება, რომელიც გაფორმებულია სხვა ენის სტრუქტურულ პრინციპებზე. ამ შემთხვევაში კალკი ბარბარიზმის შესატყვისია". ხოლო ბარბარიზმი საჭიროების გარეშე ნახმარი უცხო სიტყვაა დედაენაში.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ვრცელ და ნოყიერ სარბიელს ამჟამად კალიასავით მოსდებია კალკთა ხროვა რუსული ენის „შეწევნით". და, სანამ ყანას მთლად „მოგვიჭამდეს" კალია, უნდა ვებრძოლოთ კალკების რუსულ ოკუპაციას. თუმცა რა — კალკი ბევრია, ხოლო მისი მომგერიებელი — ცოტა.

გავიხსენოთ კალკის რამდენიმე ფესვმოდგმული მაგალითი:

ერთმა ცნობილმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა ტელევიზიის მეშვეობით განაცხადა: ბერლინის მუზეუმები იუნესკოს **ეგიდის ქვეშ არიანო.**

ერთმა იურისტმა თქვა: ეს საკითხი ჩემი **კონტროლის ქვეშ არისო.**

ერთ სპორტულ გაზეთში წავიკითხე: ეგ ფეხბურთელი ბედნიერი **ვარსკვლავის ქვეშ** არისო დაბადებული.

ერთი რადიოინფორმაცია იუწყებოდა: დააკავეს თურქეთის **დროშის ქვეშ** მოცურავე გემიო.

ხაზგასმული შესიტყვებანი: ე**გიდის ქვეშ, კონტროლის ქვეშ, ვარსკვლავის ქვეშ, დროშის ქვეშ** აშკარა კალკებია, რაც მომდინარეობს რუსული სიტყვიდან под.

როგორ შეიძლებოდა ამ შესიტყვებების სწორად გადმოცემა ქართული ენის ბუნების შესაბამისად?

პირველი წინადადება ასე უნდა გამოგვეხატა: ბერლინის მუზეუმები **იუნესკოს ეგიდით მუშაობენ ან იუნესკოს მფარველობით, ხელმძღვანელობით მოქმედებენ;** მეორე წინადადება ასე უნდა გამართულიყო: ამ საკითხს **მე ვაკონტროლებ;** მესამე წინადადება ასე ჯობდა უთუოდ: **...ბედნიერ ვარსკვლავზე** არისო დაბადებული (ცხადია, გადატანითი მნიშვნელობით); მეოთხე წინადადებაში თურქეთის **დროშის ქვეშ** კი არა **თურქეთის დროშიანი** გემი უნდა ეთქვა ინფორმატორს.

ჩილე-ჰონდურასის საფეხბურთო მატჩის კომენტირებისას სანდრო ცნობილაძემ ასეთი წინადადება თქვა: კიდევ ერთხელ **განვმეორდებიო.** ამ უმართებულო ტერმინს ხშირად იყენებენ ქართულ ზეპირ და წერით მეტყველებაში. რას გულისხმობენ ამ გამოთქმის ავტორები? ალბათ იმას, რომ ისინი გაიმეორებენ ერთხელ უკვე ნათქვამს და არა თვითონ განმეორდებიან.

ასევე მოხშირდა კალკი **გარეშე** (без: **შეფერხების გარეშე** (შეუფერხებლადძ, **შესწორების გარეშე** (შეუსწორებლადძ, **ხელფასის გარეშე** (უხელფასოდძ...

პარლამენტის სხდომაზე მოისმენთ: ეს წინადადება დავაყენოთ კენჭისყრაზე. ესეც რუსული კალკია — поставить на голосование. სწორი ფორმაა **კენჭი ვუყაროთ.**

ასეთი სიტყვების „ოკუპაციას" უნდა ვებრძოლოთ ქართული ენის სიწმინდის დასაცავად.

* * *

კალკებთან დაკავშირებით გავიხსენოთ სანდრო შანშიაშვილის ძველი გულისწუხილი: **„უცხო ენობრივმა კალკებმა ენა ძალიან დაგვიმახინჯა, მარტოკა ლექსიკა კი არა, სინტაქსსაც ძალიან დაეტყო სხვა ენების გავლენა".**

ფეხბურთი

# როცა ურემი გადაბრუნდა



**არაერთხელ დასმულა კითხვა: რა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს მწვრთნელის ნამოღვაწარიო.**

**პასუხიც ნაირ-ნაირი მოგვისმენია – ზოგიერთნი (აბსოლუტური უმრავლესობაძ ბარომეტრად მისი ნაამაგარი კლუბისა თუ ნაკრების შედეგებს მიიჩნევენ, თუმცა არიან ისეთნიც, ვისთვისაც უმთავრესი ერთ-ერთი ყველაზე უმადური პროფესიის წარმომადგენლის საფეხბურთო**



**ფილოსოფია და ტაქტიკური კრედოა.**

ვერ გეტყვით, რამდენად აკმაყოფილებს ზემოთ დასახელებული ფორმულის მეორე პუნქტის მოთხოვნებს რაიმონ დომენეკი, მაგრამ ოთხი წლის წინანდელ „მუნდიალზე“ რომ შეგირდები ფინალში გაიყვანა, დაგვეთანხმებით, თაოზებს ეყოფათ საამაყოდ. სხვათა შორის, ბევრი წინამორბედის მსგავსად, ოპონენტები მას არც მაშინ აკლდა, მაგრამ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობის მოპოვებით დაბრმავებულმა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნდობის ვოტუმი გამოუცხადა და „ევრო-2008“-ის ჩაფლავების მიუხედავად, კონტრაქტი გაუხანგრძლივა.

როგორც ირკვევა, ეს იყო საბედისწერო შეცდომა. გარდა იმისა, რომ გუნდი გუნდს აღარ ჰგავდა და ორ ბანაკად გაიყო, „სამფეროვნები“ სამადლოდ, ირლანდიასთან გამართულ საპასუხო პლეი-ოფში შვედი მსაჯის ნაწყალობევი, სკანდალურად ჩათვლილი გოლით გავიდნენ სამხრეთაფრიკული ფორუმის დასკვნით ეტაპზე, იქ კი ჭირმა თავი აღარ დამალა და ურემიც გადაბრუნდა.

სხვათა შორის, ივლისიდან ფრანგებს დომენეკის შემცვლელი ლორან ბლანი უნდა ჩაუდგეს სათავეში, მაგრამ რაღა დროს?

რაც შეეხება მწვრთნელის კვალიფიკაციას, ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის შეხვედრაში კოლეგას თვალსაჩინო პროფესიული გაკვეთილი ჩაუტარა მექსიკელმა ხავიერ აგირემ, რომელმაც პრინციპული მატჩის ბედი სარბიელზე რეზერვისტების შეშვებით გადაწყვიტა. თუ უფრო კონკრეტულნი ვიქნებით, ანგარიში „მანჩესტერის“ ახალმა შენაძენმა ყმაწვილმა ერნანდესმა გახსნა, ხოლო თანამემამულეთა წარმატება ბარერას მოცელვისთვის დანიშნული პენალტით 37 წლის უბერებელმა ვეტერანმა ბლანკომ განამტკიცა. ვიმეორებ – თითოეული მათგანი თამაშის დასაწყისში სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

წინა ნომერში გამოქვეყნებულ მიმოხილვაში ვივარაუდეთ, რომ ბომბარდირები სამიზნეს გაისწორებდნენ და შედეგიანობაც მოიმატებდა. ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ, როგორც ეს პროგნოზი გამართლდა. მეტიც – არგენტინელმა იგუაინმა სამხრეთკორეელებთან ფეერიულ სანახაობაში „ჰეთ-თრიქი“ შეასრულა და სნაიპერთა დავაში დაწინაურდა, მისმა პარტნიორებმა კი საგრძნობლად გაიმყარეს ფავორიტის სტატუსი – 4:1.

პირველი ეტაპის სენსაციად უნდა მივიჩნიოთ ნიგერიელთა კრახი, რომლებმაც ბერძნებთან კარგად დაწყებული დუელი (ანგარიში უჩემ გახსნაძ კეიტას ბრიყვული გაძევებითა და ზედიზედ მეორე დამარცხებით გააფერმკრთალეს – 1:2 (სალპინგიდისი, ტოროსიდისძ. თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, სენსაციები აწი ნახეთ.

**გუშინ.** **გერმანია – სერბეთი 0:1, აშშ – სლოვენია 1:2.**

**გია პლატონიშვილი**

კალათბურთი

# მეთექვსმეტედ!



**პროფესიული კალათბურთის რეკორდსმენი „ბოსტონ სელტიქსი“ გახლავთ, რომელმაც 17-ჯერ მოიგო ნბა-ს ჩემპიონატი. ამიერიდან მისი უახლოესი მდევარი „ლოს-ანჟელეს ლეიკერზია“, რომელიც მიღწევის ავტორს მხოლოდ ერთი ტიტულით ჩამორჩება.**

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი პლეი-ოფის ფინალში სწორედ ეს კლუბები შეხვდნენ ერთმანეთს და კალიფორნიელებმა ზედიზედ მეორე წოდება უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვეს – 4:3.

დრამატულად განვითარდა მოვლენები ჰოლივუდის დედაქალაქში გამართული დასკვნის მეშვიდე მატჩში, რომელშიც მასპინძლებმა უკანასკნელ წამებზე იძალეს – 83:79.

ყოფნა-არყოფნის დუელის გმირები კობი ბრაიანტი (23 ქულაძ და პაუ გაზოლი (19 ქულაძ გახდნენ, რომელთა პირად მონაგარსაც ერთობლივი ძალებით მოგროვებული 33 მოხსნა ამდიდრებს.

დავძენთ, რომ ტრიუმფატორთა თავკაცი ფილ ჯექსონი სამწვრთნელო კარიერაში მეთერმეტედ (!ძ ავიდა კვარცლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

შეგახსენებთ, რომ რეგულარული სეზონის მოწინავე გუნდი „კლივლენდ კავალიერზი“ დისტანციას მერვედფინალში გამოეთიშა.



მუნდიალი

# მსოფლიო რეკორდი დაამყარეს

**ფეხბურთში ძნელი წარმოსადგენია მსოფლიო რეკორდის დამყარება, ამისთვის ალბათ უამრავი გოლი უნდა გაიტანო, ანუ უამრავ მატჩში ითამაშო... მაგრამ ავსტრალიელმა დებმა ჯოანა და ალანა არგუნებმა მაინც მოახერხეს ამ მხრივ თავის გამოჩენა. მათ მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით – ისინი მუნდიალის მატჩებს განუწყვეტლად უყურებდნენ 87 საათის განმავლობაში, რითაც ერთი საათით აჯობეს ჰოლანდიელ ეფრაიმ ვან უვერენის მაჩვენებლებს.**

ყოველივე ეს კი ხდებოდა სიდნეიში, სამორინეში Star City მეთვალყურეების დასწრებით. ისინი თვალს ადევნებდნენ, რათა დები ტელევიზორის ეკრანიდან არ შეტრიალებულიყვნენ ხუთ წამზე მეტ ხანს.



ყოველი საათის შემდეგ დებს აძლევდნენ ხუთწუთიან შესვენებას. ამასთან ერთად გულშემატკივრებს უფლება ეძლეოდათ, შეესვათ ხუთ ფინჯანამდე ყავა დღეღამეში.

სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის მატჩების ტელეტრანსლაციის გარდა, დები დიდხანს უყურებდნენ საფეხბურთო შეჯიბრებების ჩანაწერებსა და დოკუმენტურ ფილმებს ფეხბურთზე.

**კახი გურული**

სავალალო პარალელი

# მივბაძოთ მეზობლებს!



**უცხოტომელებთან საუბრისას რამდენჯერ დაგვიკვეხნია – საქართველო ოლიმპიურ ჩემპიონთა ქვეყანააო. სტატისტიკით, იცოცხლეთ, მართლაც საამაყოდ გვაქვს საქმე – კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ხომ ორმოცამდე ჩვენმა თანამემამულემ ააბიჯა, მაგრამ...**

**აი, მივადექით ძირითად სათქმელს – როგორ აფასებს სამშობლო სასახელო მამულიშვილებს სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ.**

გუშინ რუსეთის სათხილამურო რბოლების ფედერაციის პრეზიდენტად სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ელენე ვიალბე აირჩიეს, იუწყებოდა ერთ-ერთი საინფორმაციო საშუალება. ძალაუნებურად ქართული სინამდვილე გამახსენდა და საკუთარ თავს ვკითხე – ჩვენთან თუ უდგას რომელიმე სახეობის ფედერაციას სათავეში ანალოგიური წოდების



რომელიმე მფლობელი? პასუხი, სამწუხაროდ, უარყოფითია.

თუმცა, რა გვიკვირს, როცა ამას წინათ „უპრაგონოდ“ გავანთავისუფლეთ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან უამრავი ჩემპიონის აღმზრდელი შოთა ხაბარელი, ხოლო მასზე გაცილებით ადრე ცხრა მთას იქით, შორეულ ავსტრალიაში გადაბარგებისკენ ვუბიძგეთ საქართველოს ყველაზე ტიტულოვან სპორტსმენს, სამგზის გვირგვინოსან ვიქტორ სანეევს, რომლის დასაქმებაც სამშობლოში, რატომღაც, შეუძლებელი აღმოჩნდა.

**გიორგი რაჭველიშვილი**

ინტერნეტიდან

## ბობი ფიშერს საფლავიდან ამოთხრიან

**ისლანდიის უზენაესი სასამართლოს დადგენილებით შედგება დიდი ამერიკელი მოჭადრაკის ბობი ფიშერის ექსჰუმაცია.**

ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ფილიპინელი 9 წლის ჯინკა იანგისათვის მისი მამობის დასადგენად. ბიჭის დედა ამტკიცებს, რომ ის სახელგანთქმული დიდოსტატისგან შეეძინა.

ფიშერი გარდაიცვალა 2008 წლის 17 იანვარს ისლანდიაში, სადაც 2005 წლიდან ცხოვრობდა, და დაკრძალეს ქალაქ სელფოსის კათოლიკური მრევლის სასაფლაოზე, რეიკიავიკიდან 50 კილომეტრზე.



მოჭადრაკის მემკვიდრეობა შეფასებულია 2 მილიონ დოლარად. მასზე პრეტენზიას აცხადებენ მისი ქვრივი, იანგი, ორი დისწული თუ ძმისწული ამერიკიდან და თავად აშშ მთავრობა საგადასახადო ვალის გამო.

ბიჭუნას მამობის გამო მტკიცდება, რომ 2005-2007 წლებში ფიშერი ფულს ურიცხავდა იანგის დედას. და მაინც სასამართლომ დაადგინა დიდოსტატის გვამის ექსჰუმაცია და **დნმ**-ის ანალიზების აღება.

## ევროპელი ქალების არჩევანი

**ევროპის ხუთი ქვეყნის ქალებმა დაასახელეს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ყველაზე ლამაზი ფეხბურთელები. ქალებისგან ეს აღიარება დაიმსახურეს იტალიისა და ესპანეთის ნაკრებების მეკარეებმა ჯანლუიჯი ბუფონმა და იკერ კასილიასმა. აგრეთვე ფრანგების გუნდის მცველმა იოან გურკიუფმა. ეს ამბავი გაავრცელა პოპულარულმა ფრანგულმა ქალთა საიტმა.**

ამ გამოკითხვისთვის მთავარი მოულოდნელობა იყო მუნდიალისადმი ქალთა ინტერესის ზრდა. მათმა 80 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ უყურებს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს, 34 პროცენტმა კი აღნიშნა, რომ „განიცდის ეიფორიას ამ ტურნირისადმი“, აქ განსაკუთრებით გამოირჩნდნენ იტალიელი ქალები.

თუმცა ფეხბურთი ქალებს მხოლოდ ლამაზი ფეხბურთელებით როდი იზიდავს. 30 პროცენტმა განაცხადა, რომ ზეპირად იცის ფეხბურთის ყველა წესი, ხოლო 60 პროცენტმა „იცის თითქმის ყველაფერი“. თუმცა ყველას როდი სწამს თავიანთი ნაკრებისა. მაგალითად, ფრანგებს არ სჯერათ 1998 წლის ჩემპიონატის შედეგების გამეორებისა, ოპტიმისტურად არიან განწყობილი ინგლისელი ქალი გულშემატკივრები, განსაკუთრებით კი – გერმანელები.



ჩვენი კარაბადინი

# წყალი ციფრებსა და ფაქტებში



**როდესაც ადამიანი კარგავს სხეულის მასის 2 პროცენტს, უჩნდება წყურვილის გრძნობა, 6-8 პროცენტის დაკარგვის შემთხვევაში — ეხვევა თავბრუ, 10 პროცენტის დაკარგვის შემთხვევაში — ეწყება ჰალუცინაციები და ჩნდება ყლაპვის პრობლემა. როდესაც არ ჰყოფნის 12 პროცენტი — ადამიანი იღუპება.**

დედამიწაზე მტკნარი წყლის მხოლოდ 3 პროცენტია, თანაც მისი უმეტესი ნაწილი მყინვარებშია. და მხოლოდ 1,1 პროცენტია სასარგებლო სასმელად.

400 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს წყლის სერიოზული უკმარისობის რეგიონებში, მილიარდზე მეტ კაცს არ გააჩნია უსაფრთხო სასმელ წყალთან მიდგომის საშუალება, 850 მილიონი შიმშილობს სარწყავი წყლის უკმარისობის გამო.

2 მილიონზე მეტი კაცი წელიწადში (ძირითადად ბავშვები) იღუპება იმ დაავადებებისგან, რომლებიც დაკავშირებულია სასმელი წყლის დაბინძურებასთან.

სულ 3-5 დღე შეუძლია გაძლოს ადამიანმა უწყლოდ.

დაავადებათა 75 პროცენტი განვითარებად ქვეყნებში გამოწვეულია ისეთი წყლის მიღებასთან, რომელიც გამოუსადეგარია სმისა და საჭმლის მომზადებისთვის.

ყველაზე ძვირი წყალი მსოფლიოში იყიდება ლოს-ანჯელესში. მისი ღირებულებაა — 90 დოლარი ერთი ლიტრისთვის. გამყიდველების სიტყვებით, წყალს აქვს ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა. სითხეს ჰყიდიან სპეციალური ბოთლებით, რომლებსაც ამშვენებს სვაროვსკის კრისტალები.

ადამიანის ორგანიზმის 60-70 პროცენტი წყალია, ბავშვისა — 80 პროცენტი. ხუთი თვის ემბრიონის 94 პროცენტი წყალია.

ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში საშუალოდ 35 ტონა წყალს სვამს.

მარილებისა და დამაბინძურებლების 420 ჭიქას ღებულობს ადამიანი საშუალოდ სიცოცხლის განმავლობაში წყალსადენის წყლიდან.

## დღეგრძელობის საწინდარი — ჭკვიანი ცოლია



**ხანდაზმულ ადამიანთა ერთი მესამედი ინარჩუნებს გასაოცრად ნათელ გონებას თვით სიკვდილამდე და არაფრით ჩამორჩება ახალგაზრდებს.** მეცნიერებმა ბალტიმორიდან და სიეტლიდან, რომლებიც აი უკვე 35 წელია აწარმოებენ დაკვირვებას ამ ქალაქების ექვსი ათასი მცხოვრების სიბერეზე, დარწმუნებული არიან, რომ გონების ფორმის შენარჩუნებაში მათ ეხმარებათ გენეტიკური მემკვიდრეობა და ცხოვრების კარგი გარემო, რაშიც ისინი გულისხმობდნენ უმაღლეს განათლებას, მოვლენებით აღსავსე ცხოვრებას, ინტელექტუალურ მეგობრებს, აგრეთვე ჭკვიან ქმარს ან ცოლს. გონებრივი დაქვეითება კი გარდაუვალია მათთვის, ვინც ეწევა უინტერესო ცხოვრებას და განიცდის ამისგან უკმაყოფილებას.

## სიბრძნე სიჩქარის წინააღმდეგ

**ბებერ ტვინს შეუძლია აღიდგინოს შრომის უნარი და გაახალგაზრდავებაც კი. ეს დაადგინეს ამერიკის დაბერების პრობლემების ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერებმა.** მათ შეადარეს მოხუცებისა და ახალგაზრდების ტვინის მუშაობა ერთნაირი ამოცანების გადაწყვეტის დროს. აღმოჩნდა, რომ მომწიფებულ ადამიანებს გონებრივი აპარატი, როდესაც იგი გადაეყრება სიძნელეებს, გარდაიქმნება. მაგალითად, თუ რომელიმე ნეირონს არ შეუძლია თავი გაართვას შემოთავაზებულ სამუშაოს, მეზობელი უჯრედები ეხმარებიან მას ანდა დავალება გადააქვთ თავის ტვინის ერთი ზონიდან მეორეში. ბებერი ტვინი უფრო ნელა მუშაობს, მაგრამ შედეგი ჩვეულებრივად არის უკეთესი, ამიტომ ახალგაზრდობა ფსონს სიჩქარეზე ჩადის, რათა მოახდინოს ინფორმაციის, გამოცდილებისა და ცხოვრებისეული სიბრძნის დეფიციტის კომპენსირება.

### ინფორმაცია განსჯისთვის

**დიეტოლოგების აზრით, საღამოს მიღებული საკვები იხარჯება არა ენერგიის გამომუშავებაზე, არამედ ინახება ორგანიზმში ცხიმოვანი მარაგის სახით. თუ იცავთ ექიმების რეკომენდაციას — არ გაძღეთ ძილის წინ?**



**ძილის წინ ზოგჯერ ვჭამ, ზოგჯერ — არა, სხვადასხვანაირად — 49%**

**რა ძილის წინ ჭამა არ შეიძლება? — 7%**

**დიახ, ვცდილობ დაძინებამდე სამი-ოთხი საათით ადრე არ ვჭამო — 26%**

**მიყვარს საღამოს ჭამა! — 18%**

***მთლიანად გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1125 კაცმა.***

# გაწონასწორებული თუ ემოციური?

**უპასუხეთ შეკითხვებს ტესტისა, რომელიც დაგეხმარებათ, განსაზღვროთ როგორც თქვენი ემოციური სისტემის თავისებურებანი, ისე ფსიქოლოგიური დაცვის დონეც.**

**1. ჩვეულებრივად გაღიზიანებთ ხალხმრავალ საზოგადოებაში ყოფნა?**
ა) დიახ;
ბ) არა.

**2. გჭირდებათ თუ არა ის ხალხი, ვისაც თქვენი ესმის, მხარს გიჭერს და გამშვიდებთ?**
ა) დიახ;
ბ) არა.

**3. ადვილად ბრაზდებით?**
ა) დიახ;
ბ) არა.

**4. ადვილად ეწყობით, უპრობლემოდ თქვენთვის ახალ ადამიანებს?**
ა) დიახ;
ბ) არა.

**5. ხშირად გაწუხებთ დანაშაულის გრძნობა?**
ა) დიახ;
ბ) არა.

**6. ადვილად ბრაზდებით ხუმრობებზე თქვენს მისამართით, მაშინაც, თუ ეს ხუმრობა უბრალოა, უბოროტო?**
ა) დიახ;
ბ) არა.



**7. შეგიძლიათ თქვათ თქვენს თავზე, რომ ხშირად გეცვლებათ განწყობილება?**
ა) დიახ;
ბ) არა.

**8. მომხდარი ამბები ხშირად მიგაქვთ გულთან, ყურადღებას აქცევთ უმნიშვნელო მოვლენებსაც კი?**
ა) დიახ;
ბ) არა.

**9. თქვენი ახლობლები და მეგობრები გიწოდებენ გულჩათხრობილს?**
ა) დიახ;
ბ) არა.

**10. ხშირად ნახულობთ კოშმარულ სიზმრებს?**
ა) დიახ;
ბ) არა.

**დაიანგარიშეთ ქულები ტაბულის დახმარებით.**

**7 ქულა.** მიგვაჩნია, რომ გაქვთ ემოციური სიმყარის მეტად მაღალი დონე. თქვენ, ეტყობა, დიდად არ გაშინებთ სხვადასხვაგვარი სტრესები. მაგრამ ძალიან ცივი ხომ არა ხართ?

**8-9 ქულა.** თქვენ საკმაოდ გაწონასწორებული ხართ, ადეკვატურ რეაგირებას ახდენთ სხვადასხვა არაერთმნიშვნელოვან სიტუაციაზე და, თქვენი ფსიქოლოგიური დაცვა ძირითადად საშუალებას გაძლევთ წარმატებით გაართვათ მათ თავი.

**10-14 ქულა.** როგორც ჩანს, თქვენ გაქვთ გაწონასწორებულობის საშუალო დონე, ესე იგი ის ნორმა, რაც ადამიანების უმრავლესობისთვის არის დამახასიათებელი.

**15-20 ქულა.** თქვენ გახასიათებთ ემოციურობის ამაღლებული დონე. კარგი იქნებოდა დაგეწყოთ ფსიქიკური თვითრეგულაციის სხვადასხვა ხერხებისა და მეთოდების ათვისება და დამამშვიდებელი ბალახების მიღებაც კი.

**21-25 ქულა.** ალბათ, ცხადია, რომ გაქვთ ფსიქოლოგიური დაცვის დაბალი დონე და გახასიათებთ აგზნებადობის მაღალი ხარისხი. სჯობს მიმართოთ რჩევისთვის სპეციალისტ ფსიქოლოგებს.

ЗДОРОВЬЕ

ინფორმაცია

## ძველი თბილისი ნელ-ნელა ინგრევა

**ძველი თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე ორსართულიანი სახლის კედელი ჩამოინგრა. შენობა მიტოვებული იყო და ნგრევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე იმყოფებოდნენ გამგეობისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლები.**

უსაფრთხოების მიზნით, მეზობელი სახლების მეპატრონეებს გამგეობა ქირით გაყვანას სთავაზობს. ნგრევის გამო დაზიანდა ბუნებრივი აირის მილი, რომლის აღდგენითი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

## მეწყერის გააქტიურება აღდგენით სამუშაოებს უშლის ხელს

**ძლიერი წვიმის შედეგად თიანეთის რაიონის სოფელ შარახევში ჩამოწოლილი მეწყერი დღემდე აქტიურ ფაზაშია.**

**რამდენიმე ოჯახი გაყვანილია დროებით საცხოვრებლებში. დანგრეულია დამხმარე ნაგებობები. მნიშვნელოვნადაა დაზიანებული ერთი საცხოვრებელი სახლი.**

შარახევში ეს მეწყრის ჩამოწოლის მეორე შემთხვევაა. პირველად სტიქია 25 მაისს გააქტიურდა. თუმცა, მაშინ მხოლოდ გზა ჩაკეტა და მოსახლეობისთვის ზიანი არ მიუყენებია.

აღნიშნული გზა შარახევიდან თიანეთის კიდევ 2 სოფელს — ლახატოსა და ბუჭყინტას უკავშირდება. ეს ორი სოფელი ბოლო წლების განმავლობაში მთლიანად დაიცალა.

თვითონ შარახევი 2 ნაწილადაა გაყოფილი. ზემო შარახევი დუშეთის რაიონს ეკუთვნის, ქვემო კი — თიანეთს. ეს ორი უბანი ერთმანეთს ხიდით უკავშირდება. მეწყერი სწორედ ხიდის სიახლოვეს, თიანეთის ტერიტორიაზეა ჩამოწოლილი.

## ჯანდაცვის პროგრამები დაზღვევიდან მონარჩენი თანხით შეივსება

**ჯანდაცვის პროგრამები სადაზღვევო პროგრამიდან დარჩენილი თანხით გაიზრდება. ამის შესახებ განცხადება ჯანდაცვის მინისტრმა სანდრო კვიტაშვილმა გუშინ პარლამენტში ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც განიხილეს 2010 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პროექტი.**

როგორც სანდრო კვიტაშვილმა აღნიშნა, იმ 215-მილიონიდან, რითაც იზრდება მიმდინარე წლის ბიუჯეტი, ჯანდაცვის სფეროსთვის არანაირი თანხა არ არის გამოყოფილი, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯანდაცვის პროგარმებს დაფინანსების შესრულებას არანაირი პრობლემა არ შეექმნება და პროგრამებზე გადამისამართდება ის თანხა, რომელიც სამინისტროს დარჩა იაფი დაზღვევის განხორციელებიდან.

კვიტაშვილს არ დაუკონკრეტებია თანხის მოცულობა, რაც ჯანდაცვის პროგრამიდან არის დარჩენილი, თუმცა აღნიშნავს, რომ ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას პრობელმა არ შეექმნება.

## ხაბაზები პურის გაძვირებით იმუქრებიან

**პურის მწარმოებლები პურის 5 თეთრით გაძვირებით იმუქრებიან. თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტროში პირობას დებენ, რომ პური არ გაძვირდება. როგორც ცნობილი გახდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფქვილის მწარმოებლები შეკრიბეს და კვეზერელის უწყებამ მიიღო დაპირება, რომ ხორბლის იმპორტიორები და ფქვილის მწარმოებლები პროდუქციის ფასს არ გაზრდიდნენ და, შესაბამისად, არც პური გაძვირდება.**

საპირისპიროს აცხადებს კერძო სექტორი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარკვეული დაჯგუფებების ლობირებაში ადანაშაულებს. როგორც პურის მწარმოებლები აცხადებენ, ფქვილის მწარმოებლებმა 7 ივნისის შემდგომ ფქვილის ფასი 5 ლარით გააძვირეს.

ერთ-ერთი პურის საცხობის დირექტორი, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, აცხადებს, რომ კომპანიები თვის დასასრულს ელოდებიან, როდესაც საკუთარი ფინანსებისა და მოგების კალკულაციას გააკეთებენ და ამის შემდეგ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას — გაძვირდეს თუ არა პური.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი

### კეკლუცი ფრინველი




**კაჭკაჭი – სადღეისოდ ცნობილი ერთადერთი არაძუძუმწოვარა ცოცხალი არსებაა, რომელიც საკუთარ გამოსახულებას სარკეში ცნობს. ფრინველის ეს გასაოცარი თვისება გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ბიოლოგების მიერ ჩატარებულმა ცდამ დაადასტურა.** ფრინველს კისერზე შავი სამაგრი მიაბეს ისე, რომ მისი დანახვა უსარკოდ არ შეიძლებოდა. სარკის წინ კაჭკაჭი მიხვდა, რომ მის წინაშეა საკუთარი ანარეკლი, დაინახა სამაგრი და ჯერ ნისკარტით (A), შემდეგ კი ფეხით (B) მისი მოძრობა სცადა. გარდა ამისა, მან სამაგრის მოძრ ობა მკერდზე შეხებით (C) და სხეულის სხვა ნაწილებითაც (D) სცადა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ გალიაში, სადაც კაჭკაჭის წინ სარკე არ იყო, მას იგივეს გაკეთება არც უცდია.

### სისხლსავსე ცხოვრების მომხიბლაობა

**ქიმიის დარგში ნობელის პრემია მსოფლიოში სახელგანთქმული ოჯახის ჰოჯკინების (მის წევრთა შორის ამ ყველაზე პრესტიჟული პრემიის სამი (!ძ ლაურეატია!ძ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დოროთიმ ეს ჯილდო 1964 წელს მიიღო. მანამდე კი იგი ოცდაათი წლის განმავლობაში რენტგენოსკოპიურ კრისტალოგრაფიაში მუშაობდა. საერთოდ კი იგი მსოფლიოში ნობელის პრემიის ლაურეატი მესამე ქალია. მან პირველმა მეცნიერთა შორის ნივთიერების ქიმიური სტრუქტურის დადგენა მხოლოდ რენტგენული ანალიზის მეშვეობით დაიწყო.**



შვედეთის სამეფო აკადემიის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ პროფესორმა ჰოჯკინმა „გამოავლინა განსაკუთრებული ოსტატობა, რომელშიც შერწყმულია ქიმიის ცოდნა, ინტუიცია, წარმოსახვის უნარი და რუდუნება“. პროფესორის ინტერესთა მრავალმხრივობის დასახასიათებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ იმ დროს, როცა მას ნობელის პრემია მიანიჭეს, მისი უფროსი ვაჟიშვილი ალჟირის უნივერსიტეტში ტოპოლოგიას ასწავლიდა, ქალიშვილი ისტორიის კურსს ზამბიაში კითხულობდა, უმცროსი ვაჟიშვილი ირანში იმყოფებოდა, იქიდან კი ინდოეთს უნდა გამგზავრებულიყო, სადაც მთელი წელი საზოგადოებრივ ორგანიზაციებში უნდა ემუშავა, თავად პროფესორი ჰოჯკინი კი შვებულებაში იყო და მეუღლეს უნდა შეხვედროდა, რომელიც განაში აფრიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა.

### წყალქვეშ ცურავდა

**მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კინოგმირი, უდავოდ, ტარზანია, რომლის შესახებ გადაღებულია უამრავი სხვადასხვა კინო თუ ტელევერსია.** ტარზანის როლის პირველი შემსრულებელი კი 79 წლის ასაკში მექსიკის ქალაქ აკაპულკოში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილი, ცურვაში არაერთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჯონ ვაისმიულერი იყო, რომელმაც ეს როლი 19 ფილმში შეასრულა.



17 წლის ასაკში ჯონიმ თავისი პირველი ორი რეკორდი დაამყარა. 1922 წელს ამერიკის ცურვის ფედერაციის 38 რეკორდიდან 11 მას ეკუთვნოდა! 1924 წელს პარიზის ოლიმპიადაზე მან სამი ოქროს მედალი მოიპოვა. მთლიანად ჯონ ვაისმიულერმა მსოფლიოს 67 რეკორდი დაამყარა და დღემდე ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოცურავედაა მიჩნეული. ასევე განუმეორებელია მისი სტილი: იგი, ფაქტობრივად, წყალქვეშ ცურავდა.

### ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ?

**ალბანეთის ქალაქ ფუშე-კრუიას ცენტრში... ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უმცროსის ძეგლის დადგმას აპირებენ.** ქალაქის მერმა ისმეთ მავრიკიიმ განაცხადა, რომ უმცროსი ჯორჯ ბუშის პატივსაცემად ფუშე-კრუიას ცენტრალურ მოედანს ამერიკის ექს-ლიდერის სახელი მიენიჭა, ამჟამად კი მოედნის ცენტრში მისი ძეგლის დადგმის პატივისთვის შვიდი მოქანდაკე იბრძვის. აღსანიშნავია, რომ ძეგლის დადგმას ზაფხულში, ამერიკის ექს-პრეზიდენტის ალბანეთში ვიზიტის სამი წლისთავზე აპირებენ.

ისე, ცოტა ხანში ჩვენც მრგვალი თარიღი გვისრულდება ექს-პრეზიდენტის ვიზიტიდან...

### მკაცრი განაჩენი

**თემიდას განაჩენი საკმაოდ მკაცრი იყო: მსჯავრდებულს ქალაქიდან სოფლად ასახლებენ, ხოლო მისი მეურვე 99 დოლარით ჯარიმდება... ესაა კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოს სასამართლოში განხილული საქმის ვერდიქტი, რომელსაც, ალბათ, ყურადღებას არავინ მიაქცევდა, მოპასუხე... ჯუჯა ცხენი, მეტსახელად სმურფი რომ არ ყოფილიყო.**



უნდა ითქვას, რომ სმურფსა და მის პატრონ კალვინ ლინს დიდი მეგობრობა აქვთ, რომელიც, როგორც ჩანს, მისტერ ლინის „კეთილმოსურნე“ მეზობლებს რატომღაც აღიზიანებთ. სწორედ მათი სარჩელის გამო იყო, რომ სასამართლომ აღნიშნული განაჩენი გამოიტანა „მუნიციპალურ სახლებში საკრამენტოს მცხოვრებთა ცხოვრების წესებზე“ დაყრდნობით, რომელთა თანახმად, ზომით ძაღლებსა და კატებზე დიდი ცხოველების, მათ შორის ცხენების, ვირების, აქლემების, სპილოებისა და ა.შ. საცხოვრისში ყოლა გათვალისწინებული არ არის.

არადა, განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება...

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**

## ანეკდოტები

დაღვრემილი მიხო საქმეს გულს ვერ უდებს.

– რა იყო, რად ჩამოგტირის ცხვირ-პირი?

– ჩემი ცოლი ორი დღით წავიდა.

– მერე ეს უნდა გიხაროდეს და შენ დარდობ?

– დაბრუნდა უკვე და...

* * *



– მარო, მტვერსასრუტს ვერ მათხოვებ?

– კი გათხოვებ, მაგრამ ვერ გაგატან, თქვენთან ცუდი დენია და ჩემთან იხმარე.

* * *

– რა საშინელი ხმა აქვს ამ მომღერალს.

– ის ჩემი მეუღლეა.

– ჰო? არა, ხმა კი აქვს კარგი, მაგრამ ასეთ საშინელ სიმღერას უკეთ ვერ იმღერებს კაცი...

– სიმღერა ჩემი დაწერილია!

* * *

– ვინ იყო, გოგო, ის ბიჭი, გუშინ მანქანაში რომ გკოცნიდა? – ეკითხება წკეპლამომარჯვებული ბებია შვილიშვილს.

– რა ვიცი, ბებო... რა ფერის იყო მანქანა?

## დღის კალენდარი

## 19 ივნისი

**ღირსისა ბესარიონ ეგვიპტელისა, სასწაულმოქმედისა (IV-Vძ; ღირსისა ილარიონ ახლისა (845ძ; ღირსთა ქალწულმოწამეთა: არქელაიასი, თეკლასი და სოსანასი (293ძ; მოწამეთა: მამელხთასი და ზინაიდასი.**



**ამოდის 04.24**
**ჩადის 19.38**



**ამოდის 16.51**
**ჩადის 01.48**

### დაიბადნენ:

**1623 – ბლეზ პასკალი,** ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1662 წელს.

**1834 – ედგარ დეგა,** ფრანგი ფერმწერი – იმპრესიონისტი. გარდაიცვალა 1892 წელს.

**1887 – სირილ ჰინშელვუდი,** ინგლისელი ფიზიკოს-ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1967 წელს.

**1924 – ვახტანგ გურგენიძე,** ისტორიკოსი, მწერალი. გარდაიცვალა 1998 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1806 – კიტაგავა უტამარო,** გამოჩენილი იაპონელი ფერმწერი და ფერადი გრავიურის ოსტატი.

### მოვლენები:

**1862** – აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე გაუქმდა მონათმფლობელობა.
**1965** – ჩამოაგდეს ალჟირის პრეზიდენტი ბენ ბელა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**აშშ** – მონათა გათავისუფლების დღე.
**არგენტინა** – დროშის დღე.
**ქუვეიტი** – დამოუკიდებლობის დღე.
**ტრინიდადი და ტობაგო** – შრომის დღე.
**ალჟირი** – რევოლუციის დღე.
**ტეხასის შტატი** – ემანსიპაციის დღე.

**მედიანიუსი**



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8871 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3179 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7920 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0568 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.